

www.ChiaturaINFO.GE



მსოფლიო დეტექტივების სერიი

საქმე
№5



ჯადსონ ფილიპსი

სახლი მთაზე

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა
www.ChiaturaINFO.GE

ჯადსონ ფილიპსი

სახლი მთაზე

ვერმონტის შტატის ქალაქ ბარჩესტერის ტრადიციული სიმყუდროვე ზაფხულის იმ დილას დაირღვა, როცა ცნობილი გახდა, რომ ვიღაც მამაკაცმა, ეტყობა მანიაკმა, ლინდა გრანტი მისი სახლიდან გამოიტყუა და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცა.

მოვლენები კი ასე განვითარდა.

იმ დღეს მაღაზია "მეთევზე და მონადირეს" დროებითი თანამშრომელი ტედ პარსონსი არდადეგებზე რომ იყო ჩამოსული კოლეჯიდან, სამსახურში ძალიან ადრე წავიდა, რადგან "სვენსენ ჰაუზში" გაჩერებული ტურისტების ჯგუფისათვის სათევზაო მოწყობილობები უნდა წაეღო. მთავარი ქუჩის გავლისას მან შენიშნა, რომ ლინდა გრანტის სახლის ერთი ფანჯარა ჩამტვრეული იყო, რომელიც ფაქტობრივად წიგნის მაღაზიის ვიტრინას წარმოადგენდა, თუმცა ლინდა იქ სხვა რაღაცეებსაც ფენდა ხოლმე გასაყიდად, მათ შორის საჩუქრებს და მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც. ბევრს ქალაქის ცენტრში ამგვარი მაღაზიის არსებობა არც მოსწონდა, მაგრამ გრანტების საგვარეულო ფაქტობრივად ბარჩესტერის დამაარსებლად ითვლებოდა და ლინდაც ისეთი იყო, პროტესტს ხმამაღლა არავინ გამოთქვამდა. უფრო მეტიც, გრანტების უკანასკნელი წარმომადგენელი, მაღალი და გრაციოზული ლინდა ყველას უყვარდა და მის მაღაზიას როგორ ვერ აიტანდნენ?

ზაფხულის იმ დილას, როცა ტედ პარსონსმა ჩატეხილი ფანჯარა აღმოაჩინა, ლინდას ბარჩესტერი თავისი ნებით არ დაუტოვებია.

რვა დაწყებული იყო, როცა ტედი ქუჩის ბოლოში მდებარე იმ სასადილოში შევარდა, სადაც ბარჩესტერის პოლიციის შეფი ერნი საუტვორტი საუზმობდა.

– ლინდა გრანტის მაღაზიაში ფანჯარაა ჩატეხილი!

– ეს ვინ ქნა? – თავი ასწია საუტვორტმა.

ტედმა მხრები აიჩეჩა:

– არ ვიცი.

– ლინდა რას ამბობს?

– ის არ მინახავს. ალბათ ჯერ ისევ სძინავს.

– კარგი, მე ვნახავ, – თქვა საუტვორტმა და ჭამა გააგრძელა.

რვას 15 წუთი აკლდა, როცა პოლიციის მანქანა გრანტების სახლთან გაჩერდა. იქიდან გამოსული საუტვორტი ფანჯარასთან მივიდა და ვიტრინას დაუწყო თვალიერება.

"თითქოს არაფერი აკლია", – ჩაილაპარაკა და ხელი საპარადო კარის ზარს ჩამოჰკრა.

რაკი არავინ გამოეპასუხა, სახლს შემოუარა და სამზარეულოში შეიხედა, მაგრამ იქაც არავინ იყო.

საუტვორტმა თავი ასწია და მეორე სართულის ღია ფანჯრებისკენ ასძახა:

– ეი, ლინდა!

მაგრამ სახლის დიასახლისი არც ახლა გამოპასუხებია. შემფოთებულმა პოლიციელმა უკანა, სათადარიგო შესასვლელი მოძებნა და კარს მიაწვა. იგი იოლად გაიღო და საუტვორტიც სახლში აღმოჩნდა.

მან მთელი სახლის კუთხე-კუნჭული მოიარა, მაღლაც ავიდა, მაგრამ ლინდა გრანტი ვერსად ნახა. მერე სარდაფშიც მოიძია და სხვენზეც, მაგრამ ლინდას კვალს ვერსად მიაგნო – ქალი სადღაც გამქრალიყო.

საუტვორტი თავის ავტომობილთან დაბრუნდა, სადაც საგზაო სამსახურის თანამშრომელი მარტი სპრინგსტიდი დახვდა, თვალეზდაჭყეტილი რომ მისშტერებოდა ჩამტვრეულ ვიტრინას.

– რა მოხდა? – შეეკითხა მარტი.

– არ ვიცი, – მიუგო საუტვორტმა, – არც ლინდაა სახლში.

– ვიტრინიდან გიტარა გაქრა, – შენიშნა საგზაო მოხელემ.

– შენ რა იცი?

– ყიდვა მინდოდა, მაგრამ ვერ შევწვდი. 60 დოლარი როგორი საშოვნელია?

– ეს... მოზარდი ლაწირაკების ნახელავია, – კბილებშია გამოსცრა საუტვორტმა, – არადა, მაგათზე რომ რამე თქვა, მშობლები მაშინვე ეფოფრებიან.

მარტიმ სახლს შემოუარა და თქვა:

– მანქანა გარაჟშია. მაშასადამე, ლინდა სადღაც აქვია.

საუტვორტი მეზობლად მცხოვრებ ტოლივერებს მიადგა, რამე ხმაური ხომ არ გაგიგონიათო, მაგრამ უშედეგოდ.

* * *

ინდა გრანტის გაუჩინარების ამბავი ქალაქს სწრაფად მოედო. გამოითქვა ვერსიებიც. ზოგის აზრით, ის სადღაც გაემგზავრებოდა, ზოგმა ისიც კი თქვა, მოულოდნელად ხომ არ გათხოვდაო.

– რა დროს ხუმრობაა?! – შენიშნა ბარჩესტერის ბანკირმა მისტერ სვენსონმა, – ქალი დაიკარგა, თქვენ კი... ჩემი ვარაუდით, ლინდა სადამოსთვის გამოჩნდება.

ამ მიება-მიებაში საუტვორტმა მაიკ მილერი შენიშნა, რომელიც თავისი სახლის უკანა ზღურბლზე ჩამომჯდარიყო და მოწყენილი ჩანდა. პოლიციელმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და მაიკს მიუახლოვდა:

– რას ჩაფიქრებულხარ, მაიკ?

ყმაწვილი აშკარად ნერვიულობდა. ლურჯ კომბინეზონზე და სახეზეც ზეთის ლაქები ემჩნეოდა.

– ერნი, რაღაცა მინდა, გკითხოთ.

– გისმენ.

– შეიძლება, პოლიციელს ისე ველაპარაკო, როგორც მღვდელს?

– აღიარებას გულისხმობ?

- ჰო... ალბათ.
- მოყვები, რა გაწუხებს, – საუტვორტმა ჯიბიდან სიგარეტი ამოაძვრინა და აუღელვებლად გააბოლა.
- უმუშევრად დარჩენის მეშინია.
- რამე მოიპარე?
- არა, მაგრამ... თუ ყველაფერს ვიტყვი...
- ჰოდა, თქვი, რაღას გაჭიმე?
- გასულ ღამეს, ასე, ორ საათზე, ქვის სამტვრევისაკენ მიმავალ ძველ გზაზე ვიყავი...
- მოლი დონაჰიუსთან ერთად? – ჩაიცინა პოლიციელმა.
- თქვენ საიდან იცით?
- მაგას რა ცოდნა უნდა, ტყუილად ხომ არ ეკურკურები?
- შინ თერთმეტზე უნდა ყოფილიყო. მის მოხუცს რომ შეეტყო, შავ დღეს დააყრიდა.
- იქნებ მღვდელთან გელაპარაკა? – ისევ ჩაიცინა საუტვორტმა.
- ისეთი რაღაცა დავინახეთ, თქვენთვის უფრო იქნება საინტერესო.
- ასეთი რა დაინახეთ?
- ლინდა გრანტი.
- რა თქვი?
- ჩვენ ხის ქვეშ ვისხედით, მთვარის შუქზე და... ვსაუბრობდით. უეცრად რაღაც ხმა მოგვესმა.
- მაიკ, გარკვევით ილაპარაკე. რა ხმა?
- ის ბიჭი გზაზე მიდიოდა და თან ლინდას მიათრევდა.
- რომელი ბიჭი?
- ადრე არასოდეს მინახავს.
- ლინდას მიათრევდა?
- მისთვის ხელეები შეეკრა, თოკი წელზე მოება და ისე მიათრევდა ფეხშიშველს.
- ხომ არ მატყუებ? – მოიღუშა საუტვორტი.
- არა, ერნი, ვფიცავ. ის ტიპი მიათრევდა, ლინდა კი ტიროდა. როგორც მოლი ამბობს, მას ღამის პერანგი ეცვა.
- მერე თქვენ რა ქენით?
- არც არაფერი. მოლისთან რომ პაემანი მქონდა, ამას ხომ ვერ გავახმაურებდი?
- და ამის სათქმელად ამდენი დრო დაკარგე?
- მისმინეთ, ერნი. მისტერ დონაჰიუმ რომ ჩვენი შეხვედრების შესახებ გაიგოს, სამსახურსაც დამატოვებინებს და მოლისთან შეხვედრასაც ამიკრძალავს.
- საუტვორტმა ნამწვი მიწაზე დააგდო, ფეხით გასრისა, მერე კი ჯიბიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო.
- ის ტიპი ამიწერე.
- მაღალი, ღონიერი, გრძელი თმით, ლურჯ ჯინსსა და მაისურში... კოვბოურ ჩექმებში. მხარზე რაღაცა ჰქონდა გადაკიდებული. ვერ გავარჩიე, გიტარა იყო თუ ბანჯო.

– სახე?

– მხოლოდ პროფილში დავინახე... ოფლისაგან ულაპლაპებდა.

საუტვორტმა ბლოკნოტი შეინახა და მკაცრად თქვა:

– ხვდები მაინც, იმ ტიპს რამხელა ფორა მიეცი?

– უცებ ვერ გადავწყვიტე.

– თუ ლინდას რამე მოუვა, ცუდად წაგივა საქმე!

– ერნი, რაც გინდათ, იქ ქენიც, ოღონდ არ წამოგცდეთ, რომ მოლი ჩემთან იყო! – შეეხვეწა მილერი.

– იცი, რას გეტყვი? – პოლიციელმა თვალეხი მოწკურა, – თუ სიყვარულის თავი გაქვს, არც ამის აღიარების უნდა გეშინოდეს.

* * *

იტერ სტაილზმა ჩემოდანი, პორტატული საბეჭდი მანქანა, პალტო და შლაპა თეთრი იაგუარის საბარგულში ჩააწყო და ტობი პალმერის სახლში შებრუნდა მისის უეიდთან გამოსამშვიდობებლად. გამგზავრების გადაწყვეტილება მოულოდნელად მიიღო. იმ დილით ის ტობის მყუდრო კაბინეტში საბეჭდ მანქანას მიუჯდა, თავისი წიგნის რამდენიმე გვერდი რომ დაეწერა. ტობის სახლი და მისის უეიდის მომსახურება კიდევ მთელი თვე მის განკარგულებაში იყო, მაგრამ მუშაობა რატომღაც აღარ გამოსდიოდა და მთელი მისი არსება რაღაც გაურკვეველ შიშს შეეპყრო.

სტაილზი ინტუიციის გასაოცარი უნარით იყო დაჯილდოებული, რაც თავის ჟურნალისტურ მოღვაწეობაში ძალიან ეხმარებოდა. ამიტომ იყო, რომ მის სტატიებსა თუ ინტერვიუებს არა მარტო შტატებში, მის ფარგლებს გარეთაც ყველა ინტერესით ელოდა. ამ მამაც ჟურნალისტს ბევრი მოსაგონარი ჰქონდა, თუმცა ის, რაც ბარჩესტერში გადახდა, ყოველთვის ცუდად ახსენდებოდა.

ხუთი წლის წინ პიტერი, დაქვრივებულ მამასთან ერთად, ასევე თეთრი, ოღონდ ძველი მოდელის იაგუარით დარღობრუკ ლოჯს ეწვია, რომელიც საკმაოდ ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტი გახლდათ და ბარჩესტერიდან სულ 8 მილში მდებარეობდა.

ერთ ავბედით დღეს მათი მანქანა გზაზე მოსრიალდა და ხევში გადაიჩეხა.

საბედნიეროდ, პიტერი მანქანიდან გადმოვარდა და მხოლოდ ფეხი მოიტეხა, იაგუარი კი მამამისთან ერთად ცეცხლში გაეხვია.

გონს პიტერი მხოლოდ საავადმყოფოში მოვიდა. მარჯვენა ფეხი, მუხლს ქვემოთ ამპუტირებული ჰქონდა, მის მაგივრობას კი მეტალის პროთეზი უწევდა. თავიდან ძალიან გაუჭირდა, მერე კი თანდათანობით მიეჩვია და ოდნავი კოჭლობა რომ არა, უცხო თვალი ვერც კი შეამჩნევდა, პროთეზი რომ ჰქონდა.

წარსულის დავიწყებაში პიტერს სამსახური და მეგობრებიც დაეხმარნენ, მაგრამ ბარჩესტერის ხსენება ყოველთვის ცუდ მოგონებებს აღუძრავდა, უფრო სწორად, დარღობრუკ ლოჯის ხსენება, თორემ ტობი პალმერის სახლი ბარჩესტერში მდებარეობდა. თავად ტობი ორი თვით ევროპაში გაემგზავრა და სახლი

მოახლითურთ პიტერს დაუტოვა.

თავიდან პიტერი საკმაოდ კარგად მუშაობდა, მერე კი გაუჭირდა და ისეთი წინათგრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაც ცუდი მოხდა ან უნდა მომხდარიყო. ერთ დილას, საუზმობისას, პიტერმა მისის უეიდს განუცხადა, გარემოს გამოსაცვლელად სადმე გამგზავრებას ვაპირებო.

– ბილი მიურფიმ ახალი კალმახი მოიტანა. ვიდრე არ გაგასინჯებთ, არსად არ წახვალთ, – მკაცრად განუცხადა მოახლემ.

კალმახი მართლაც შესანიშნავი გამოდგა, მერე კი პიტერმა მანქანაში თავისი ბარგი ჩააწყო და გამოსამშვიდობებლად სახლში შებრუნდა.

მისის უეიდი ტელეფონზე ლაპარაკობდა, თან დროდადრო ვიშვიშებდა, ეს რა მომხდარაო.

– რა მოხდა? – ღიმილით შეეკითხა პიტერი, როცა ქალი ლაპარაკს მორჩა.

– ლინდა გრანტი გაუტაციათ! ო, ღმერთო! რა აღარ ხდება ამ ქვეყანაზე!

პიტერს სახლე მოედრუბლა:

– წიგნების მაღაზია რომ ჰქონდა?

– სწორედ ის.

– კი მაგრამ, რანაირად?

– თურმე ვიღაცა ნაძირალა თოკით მიათრევდა, თან მხარზე მაღაზიიდან მოპარული გიტარა ჰქონდა გადაკიდებული. საბრალო გოგო კი თურმე ტიროდა.

– აბა, რას იზამდა...

ამ ამბავში ჩარევა პიტერს სულაც არ სურდა, მაგრამ, როგორც რეპორტიორს, არც ბრძოლის ველის მიტოვება შეეძლო. წარმოქმნილი დილემა ისევ მისის უეიდმა გადაჭრა:

– მისტერ პიტერ, ცენტრამდე ვერ მიმიყვანთ? მაინტერესებს, ქალაქში რა ხდება.

ეს სტაილზსაც აინტერესებდა და ქალს უარს როგორ ეტყოდა?

ტობის სახლიდან მთავარ ქუჩამდე სულ ორი მილი იყო. "სვენსონ ჰაუზის"

სიახლოვეს უამრავ მანქანას მოეყარა თავი და ხალხიც ბევრი იყო, უმეტესობა თოფით

ან რევოლვერით შეიარაღებული. საძიებო სამუშაოებს სათავეში საპარადო

შესასვლელში მდგარი საუტვორტი ჩასდგომოდა და იქ შეკრებილთ ხმამაღალ

მითითებებს აძლევდა:

– გახსოვდეთ, თუ იმ ტიპს დაინახავთ, არ ესროლოთ, რადგან ლინდა მასთანაა და

შეიძლება მას მოხვდეს! ლინდას გადასარჩენად ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ!

პიტერი პოლიციელს მიუახლოვდა:

– მეც მინდა, რამეთი დაგეხმაროთ.

საუტვორტმა გაიღიმა:

– ის ნაძირალა უკვე 11 საათით გვისწრებს წინ, ამიტომ მის დასაწევად სიჩქარე გვჭირდება.

– მე მანქანა მყავს, – შენიშნა პიტერმა.

- ძალიან კარგი. მაშინ იქნებ ჯერემის სახლამდე მიმიყვანოთ?
- მთაზე რომ დგას, იქ?
- ჰო.
- უარს როგორ გეტყვით.
- ერთი წუთით, - ერნი იქვე მყოფ კაცს მიუბრუნდა, - ედ, მალე დამხმარე ძალა მოვა. ისინი ტყეს არ იცნობენ, ამიტომ მთას გარშემო უნდა შემოუარონ და ძიება ისე გააგრძელონ.
- ის ტიპი ლინდას ამხელა მანძილზე ათრევდა? იქნებ უკვე მოკლა და სადმე მიაგდო?
- მოკვლა რომ სდომებოდა, ადრევე მოკლავდა, - მოუჭრა პოლიციელმა ედს.
- აბა, რა ვიცი... - ედმა მხრები აიჩეჩა, საუტვორტმა კი განაგრძო:
- ჩემი მანქანა დენ ჯეკსონს მივეცი და ჩრდილოეთისკენ გავგზავნე. მე მისტერ სტაილზი ჯერემისთან მიმიყვანს. თუ მალე არ დავბრუნდი, ე.ი. რაღაცა მოხდა. აქაურობის გაძღოლას შენ გავალებ, ედ, - პოლიციელი პიტერს მიუბრუნდა, - წავედით, მისტერ სტაილზ.

* * *

იტერმა მზის სათვალე გაიკეთა და მის გვერდით მოკალათებულ პოლიციელს შეეკითხა:

- ეს ჯერემი ვინ არის?
- ჯერემი რული ერთი უცნაური მოხუცია, რომელმაც ოტელის სტილში აგებული ეს სახლი ორმოცდაათიან წლებში შეიძინა. მას შემდეგ იქ ცხოვრობს თავის მენატურე ქალთან თუ ცოლთან ერთად. იქამდე კარგი გზაა, რაც ჯერემის დამსახურებაა. ის თავისი ძველი შევროლეტი ხშირად ჩამოდის ქალაქში და საყიდლებით დატვირთული უკან ბრუნდება.
- ეს სახელი თითქოს მეცნობა.
- ჯერემი რული შემოქმედი ადამიანია, მხატვარი, მწერალი, სკულპტორი, ბოტანიკოსი, და მგონი, გამომგონებელიც. მის სახლში ემილის ხუთასამდე პორტრეტია გამოფენილი, ზოგი ჩაცმული და ზოგიც შიშველი.
- ემილი...
- მისი სამოცს გადაცილებული მენატურე ცოლია, რომელიც ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი ყოფილა.
- კიდევ შორსაა? - იკითხა პიტერმა, როცა აღმართს მიადგა.
- გზა სულ ზევით ადის. ორი მილი იქნება.
- გასაგებია.
- სადღაც აქ მაიკ მილერმა და მოლი დონაჰიუმ დაინახეს, როგორ მიათრევდა ის ნადირალა ლინდას, - შენიშნა საუტვორტმა ცოტა ხნის შემდეგ.
- მერე აქამდე რატომ არ გითხრეს?
- იმის გამხელის შეეშინდათ, ერთმანეთს რომ ხვდებიან.
- გასაგებია, - პიტერი გზას გასცქეროდა, - იმ მხატვართან რაღატომ მივდივართ?

– ჯერემი უცნაური ადამიანია. როცა ცოლს არ ხატავს, ტყეში დაეხეტება. ველური ყვავილების ისეთი სპეციალისტია, მასთან საკონსულტაციოდაც კი მიდიან. თან კარგი მონადირეა და ველურ ტახს თავისი ვინჩესტერით სამასი იარდიდანაც არ აცილებს. მისტერ სტაილზ, ტყის ვირზაზუნას მწვადი გიჭამიათ?

პიტერმა თავი გააქნია.

– ზღაპრული გემო აქვს.

– ამ თქვენს მონადირე მხატვარს სტუმრები თუ უყვარს?

– ნამდვილად არა. ორი წლის წინ აქ წიუ იორკიდან ვილაც მონადირე ჩამოვიდა, ჯერემიმ კი კუდიტ ქვა ასროლინა, აქაურობა ჩემი საკუთრებაა და ნადირობის უფლება ვინ მოგცაო.

– მეტად ორიგინალური ყოფილა, – შენიშნა პიტერმა.

– ნულარ იტყვი, – დაეთანხმა პოლიციელი, – თუ ჯერემიმ მოინდომა, იმ გაქცეულის პოვნაში ძალიან დაგვეხმარება.

ანაზდად წინ ვეებერთელა სახლი გამოჩნდა, რომელიც, ცხადია, ჯერემი რულს ეკუთვნოდა. სამი თუ ოთხი სართული იქნებოდა, შიგნითა ოთახები კი ალბათ ასზე მეტი. მთელი სახლი მარმარილოთი იყო ნაგები, რაც მას მეტ ბრწყინვალეობას სძენდა და მართლა ოტელი გეგონებოდათ.

იაგუარი ჯერ გაჩერებულიც არ იყო, როცა პიტერმა ჯერემი რული დაინახა. ეს მაღალი, გოლიათივით ჩაფსკვნილი მოხუცი ყვავილების ქოთნებს დასტრიალებდა და მანქანის დანახვა, როგორც ჩანს, სულაც არ ესიამოვნა.

– ჰელოუ, ჯერემი! – დაიძახა საუტვორტმა და მანქანიდან გადავიდა.

– ერნი, დღეს არავის ველი, – დაიგუგუნა გოლიათმა.

– განა არსებობს დღე, როცა თქვენ ვინმეს ელით? – გაიღიმა პოლიციელმა, – ეს პიტერ სტაილზია. აქ მანქანით ამომიყვანა.

– თქვენ "ნიუსვიკში" წერთ, – გიგანტის გამოწვდილი ხელი პიტერს ყინულივით ცივი ეჩვენა.

– არ გეშლებათ.

– კონფორმისტული ჟურნალია.

– ჩემს ბოსს ეს შეფასება ეწყინებოდა.

– სისულელეა. თქვენ რეკლამის ტყვე ხართ.

– ჯერემი, – ჩაერია საუტვორტი, – ლინდა გრანტი გაიტაცეს...

და პოლიციელი ყველაფერს მოყვა, რაც იცოდა.

– სამწუხაროა, – თქვა მოხუცმა, – ლინდა კარგი გოგოა.

– ვიფიქრე, იქნებ თქვენ შენიშნეთ რამე.

– უცხო არავინ დამინახავს, – მიუგო ჯერემიმ, – ჩიტების ჭიკჭიკი გესმით? ვინმე რომ გამოჩენილიყო, უფრო ადრე ისინი შემატყობინებდნენ.

– ჯერემი, ყურადღებით იყავით, – სთხოვა მოხუცს პოლიციელმა, – თუ ის ტიპი გამოჩნდება, ლინდაც სადმე იქვე იქნება.

– თუ შევძელი, ლინდას დავეხმარები. ის კარგი გოგოა. ემილის სამი პორტრეტი გამიყიდა.

– მისტერ რულ, იმედია, ისევ შევხვდებით ერთმანეთს, – თქვა პიტერმა და იაგუარისაკენ მიმავალ საუტვორტს უკან გამოედევნა.

* * *

ალე მოტორიც აგუგუნდა და იაგუარი დაღმართზე დაეშვა.

– შესანიშნავი მოხუცია, – თქვა პიტერმა.

– მერე როგორ ხატავს! – აჰყვა პოლიციელი.

დაახლოებით 50 იარდის გავლის მერე მარცხნიდან გასროლის ხმები მოისმა.

– გააჩერეთ! – ითხოვა საუტვორტმა.

პიტერმა მანქანა გააჩერა, სროლა კი ისევ ისმოდა.

– ვნახავ, რა ხდება, – პოლიციელი მანქანიდან გადავიდა და გზა მარცხნივ გააგრძელა.

პიტერი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე მანქანიდან გადმოვიდა, საბარგული გახსნა, ჩემოდნიდან პატარა პისტოლეტი ამოიღო, პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო, ჩემოდანი და საბარგული ისევ დაკეტა და ფეხით აუყვა აღმართს, რომელიც ახლახან იაგუარით ჩამოიარა.

ახლოს რომ მივიდა, ტყეში შეუხვია და სახლს იქიდან დაუწყო თვალთვალი.

ჯერემი იქ აღარ ჩანდა.

ახლა მისი ადგილი მაღალ, ჯინსებიან ქალს დაეკავებინა, რომელსაც ბოტიჩელის პერიოდის კლასიკური ფიგურა ჰქონდა, დიდი ძუძუებითა და ასევე დიდი ბარდაყებით. პიტერი მაშინვე მიხვდა, ეს ქალი რომ ჯერემის მენატურე ცოლი იყო, რომელსაც, მიუხედავად ასაკისა, მომხიბვლელობა ისევ შერჩენოდა.

უეცრად ჟურნალისტმა კისერში რაღაც მაგარი და ცივი საგნის შეხება იგრძნო, რასაც სისინა ხმაც მოჰყვა:

– ხელები მაღლა და თავს უკან! თუ გინდა, ცოცხალი გადარჩე!

პიტერმა ბრძანება შეასრულა, თან მაშინვე იგრძნო, პიჯაკის ჯიბიდან როგორ ამოუღეს პისტოლეტი.

– ახლა კი ოტელისკენ წადი! – უბრძანა იგივე ხმამ.

პიტერი ადგილიდან დაიძრა. როცა სახლს მიუახლოვდნენ, კიდევ ოთხი სუბიექტი შენიშნა, სამი თოფებით შეიარაღებული ახალგაზრდა და ერთიც ჟღალთმიანი ქალიშვილი, საპარადო შესასვლელთან რომ იდგა და იღიმებოდა. როცა გვერდით მენატურე ქალს ჩაუარეს, პიტერს მოესმა:

– სულელი!

* * *

ამ დროს უკნიდან ახალი ბრძანება მოესმა:

– სახლში შედი!

შიში, თავიდან რომ დაეუფლა პიტერს, ბრაზმა შეცვალა, განსაკუთრებულმა

სიბრაზემ, ბრძოლის წინ რომ ეუფლება ადამიანს.

საპარადო კარს რომ მიუახლოვდა, ჟღალთმიანი ქალიშვილი გვერდზე გადა და ჩაიცინა:

– სალამი, ლამაზო.

პიტერი სახლში შევიდა. დანარჩენებიც თან შეჰყვნენ.

ისინი უზარმაზარ ჰოლში აღმოჩნდნენ, სადაც ავეჯი არ იდგა, კედლები კი ერთი და იმავე ქალის პორტრეტებით იყო მოფენილი. ეს ქალი ჯერემის მეუღლე და მენატურე გახლდათ, სხვადასხვა ასაკსა და პოზაში დახატული. პიტერი ნელა მიდიოდა და თვალს ვერ აშორებდა სურათებს.

– იმ კარში შედი! – ბრძანა იგივე ხმამ.

ოთახი, რომელშიც შევიდნენ, დიდი აღმოჩნდა და წიგნების თაროებით იყო სავსე. უზარმაზარ ფანჯარასთან მოლბერტი იდგა დაუმთავრებელი ნახატით, რომელზეც ისევ ის ქალი იყო გამოსახული, ოღონდ 30 წლით ახალგაზრდა.

– კარგი. შეგიძლია ხელები დაუშვა და შემობრუნდე.

პიტერი ასეც მოიქცა. მის წინ ახალგაზრდა, შავთმიანი მამაკაცი იდგა ნაცრისფერი თვალებით და თავისი ვინჩესტერი პიტერისკენ ჰქონდა მიშვერილი.

– არ უნდა დაბრუნებულიყავი, – თქვა მან.

მის უკან კიდეც სამი თოფმომარჯვებული ახალგაზრდა იდგა გამხდარი, უკმეხი სახეებით. მერე ჟღალთმიანი ქალიშვილიც გამოჩნდა და თქვა:

– ეს სულ სხვაა, კ.კ.

შავთმიანმა თავი გააქნია, თან თვალს არ აშორებდა პიტერს:

– ბევრი საფიქრალი გაგვიჩინე, მოხუცო.

თუ უკანა სამი მხოლოდ ღონეს ასხივებდნენ, ეს კ.კ. მოცეკვავის გრაციოზულობით გამოირჩეოდა და აშკარად უფროსობდა მათ.

– მოხუცო, – განაგრძო კ.კ.-მ, – გოგო, რომელსაც შენ ეძებ, ჩვენთანაა და საიმედოდ დარაჯობენ. თუ ვინმე აქედან გაღწევას შეეცდება, მაშინვე ყველას ბოლო მოგეღებათ, გასაგებია?

– გასაგებია, – მშვიდად მიუგო პიტერმა.

– ტყეში ბევრი იდიოტი დაეხეტება, ამიტომ შემოწმებაა საჭირო, – თქვა კ.კ.-მ და შეტრიალდა, – ბენ, იაგუარი გარაჟში დააყენე, შენ კი, ტრუდი, მანჭვას შეეშვი და მაესტროს უხმე, ჩვენს ჟურნალისტს ყველაფერი რომ აუხსნას.

მაღალი, ქერა ყმაწვილი და ჟღალთმიანი ქალიშვილი ოთახიდან გავიდნენ.

– დიუკ, შენ დედილოს უდარაჯე, ვიდრე მისი ქმარი აქ იქნება.

ოთახიდან საოცრად ფერმკრთალი ყმაწვილიც გაიძურწა.

– ჯეიკ, – მიმართა კ.კ.-მ დარჩენილ გოლიათს, – ჩვენ სათვალთვალო პოსტი გველოდება, შენ კი, სტაილზ, მაესტროს მოსვლამდე მარტო დარჩები. მომავალ შეხვედრამდე.

და პიტერი მარტო დარჩა ოთახში.

შორიდან გიტარის სიმების ხმა მოესმა, რომელსაც თან სიმღერის საკმაოდ უსიამოვნო ხმა აჰყვა.

პიტერი ფანჯარასთან მივიდა. აქედან ტყემდე არც ისე დიდი მანძილი იყო. რომ გადახტეს და გაიქცეს? შეიძლება, ოღონდ მერე აქ დარჩენილებს რა მოუვათ? კ.კ. თავისი სიტყვის პატრონი ჩანს და შეიძლება მძევლები დახოცოს.

– აქ ხართ? – მოესმა ამ დროს უკნიდან.

ეს ჯერემი იყო. ფეხები ფოსტლებში გაეყარა და მისი შემოსვლა პიტერს არც კი გაუგია. პიტერი სკამზე ჩამოჯდა. ასევე მოიქცა ჯერემიც.

– იქნებ ამიხსნათ, რა ხდება თქვენს სახლში? – შეეკითხა შემოსულს ჟურნალისტი.

– ჩვენ, ყველანი, სიკვდილს ველით. მეც, ემილიც და ის მოტაცებული ქალიშვილი ლინდაც.

– მერედა, ამას ასე მშვიდად ამბობთ?

– აბა, რა ვქნა? წვერები დავიგლიჯო? სტაილზ, მე ჩემი უკვე მოვჭამე, 78–ის ვარ. აი, ემილი და ლინდა კი მართლა მეცოდებიან.

– საუტვორტი ვერ დაგეხმარებოდათ?

– ძნელი სათქმელია... როცა თქვენ გელაპარაკებოდით, ამ ძალიშვილებიდან ორს, ჯეიკს და ჯორჯს ემილი და ლინდა მიზანში ჰყავდათ ამოღებული. მართლა, საუტვორტი სად არის, თქვენ მართლ დაბრუნდით?

– რაღაც სროლის ხმა მოგვესმა და ამბის გასაგებად იქით წავიდა.

– იცის, აქ რომ დაბრუნდით?

– არა, ეს მერე გადავწყვიტე.

– ძებნას დაგიწყებენ.

პიტერი ჩაფიქრდა.

– იცით, ლინდა გრანტის გატაცების ამბავი მაშინ შევიტყვე, როცა ჩემი მეგობრის სახლიდან გამგზავრებას ვაპირებდი. საუტვორტმა თქვენთან მოყვანა მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი. მოკლედ, უკან რომ არც დავბრუნდე, შეიძლება იფიქრონ, გაემგზავრაო.

– შინ რომ არ დაბრუნდებით?

– იქ ერთი თვის მერე მელიან. ასე რომ, დრო მაქვს.

– ანუ ტყვედ ყოფნის დრო...

– მისტერ რულ, იქნებ უფრო გასაგებად ამიხსნათ, აქ რა ხდება?

– მგონი, დროა, ერთმანეთს სახელებით მივმართოთ.

– კი, ბატონო, – გაიღიმა ჟურნალისტმა.

– სამი კვირის წინ ხუთ ბიჭსა და ერთ წითელთმიან გოგოს ტყეში გადავეყარე. არც იარაღი ჰქონდათ და ისე შიოდათ, ფეხზე ძლივს იდგნენ.

– ახლა რომ აქვთ?

– ეს ჩემი იარაღი და ტყვიებია.

– მერე რა მოხდა?

– ასე მითხრეს, ჯარში გაგვიწვიეს, მაგრამ უარზე ვართ და გამოვიპარეთო.

– გოგოც? – გაუკვირდა პიტერს.

– გოგო გზად წამოუყვანიათ, ასე ვთქვათ, გასართობად. მოკლედ, ტრუდი ჰქვია და ყველა ბიჭთან რიგრიგობით წევს. ეს ახალგაზრდები ძალიან შემეცოდა და დროებით შემოვიკედლეო, ახლა კი ამას ძალიან ვნანობ. არადა, მაშინ რა ვიცოდი, ვისთან გვქონდა საქმე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს ტიპები ნამირლები ყოფილან, რაც სულ შემთხვევით გავიგეთ.

– როგორ გაიგეთ?

– საყიდლებზე მე დავდიოდი. ერთხელაც ჩემი ძველი ტრანზისტორისათვის ბატარეები ვიყიდე, ახალი ამბები რომ მოგვესმინა... იმ საღამოს ყველანი მაგიდას ვუსხედით, ტრანზისტორის მუსიკაზე კი ტრუდი რიგრიგობით ცეკვავდა ბიჭებთან. უეცრად მუსიკა შეწყდა და ახალი ამბების სპეციალური გადმოცემა დაიწყო. პოლიცია იუწყებოდა, რომ ტერორისტების ბანდამ, რომელიც ხუთი მამაკაცისა ერთი ქალიშვილისაგან შედგებოდა, შვიდსულიანი ოჯახი ამოწყვიტა და შტატის ტერიტორიიდან გაქცევა მოასწრო. ამ ცნობას ისევ მუსიკა მოჰყვა, მაგრამ ადგილიდან არავინ დაძრულა.

– მახსოვს ეს შემთხვევა, – შენიშნა პიტერმა.

– პიტერ, აი, ასეთი ბანდიტები შევიკედლე. მაშინვე მაგიდიდან წამოვდექი და იმ პატარა ოთახისკენ გავემართე, სადაც ჩემს თოფებს ვინახავდი, მაგრამ კართან მისულიც არ ვიყავი, მთელი ხროვა რომ დამესხა თავს.

– კ.კ. ვინ არის? – დაინტერესდა პიტერი.

– კარლ კრამერია, ბანდის მეთაური. მათ ჩემი თოფები აიღეს და მიბრძანეს, რასაც მეტყოდნენ, უსიტყვოდ შემესრულებინა. იძულებული გავხდი, ასეც მოვქცეულიყავი, რადგან ემილი მათ ხელში იყო და შეიძლება მოეკლათ. პიტერ, თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით?

– არ ვიცი.

– მე რომ ისინი დამესმინა, ორივეს მოგვკლავდნენ. როცა თქვენ და საუტვორტი გამოჩნდით, შიშით გული კინალამ გამისკდა.

– ლინდა გრანტი რომელმაც გაიტაცა?

– ჯორჯ მანგერმა, რომელმაც თან გიტარაც მოიპარა და მას მერე აჟღარუნებს. ისე იქცევა, მგონი, ნარკომანია. თუ მაგის ღნავილს სიმღერა ჰქვია, სიმღერით უნდა, ლინდას თავი მოაწონოს.

– მანგერზე სხვები რას ამბობენ?

– მშიშარად თვლიან, ის გოგო ადგილზე რატომ არ მოკლავ.

– ჯერემი, ამ ბანდიტებს მართლა არ ეშინიათ, პოლიციაში რომ განაცხადოთ?

– რა მიაბიტი ხართ! მაშინ ხომ ჩვენც მოგვკლავენ, ლინდასაც და ახლა უკვე თქვენც! ჩვენ შანსი არ გვაქვს. განა ეს ძნელი მისახვედრია?

– ჰო, მაგრამ...

– პიტერ, თქვენ შეგიძლიათ გაქცევა სცადოთ. თუ გამოგივიდათ, ჩვენ დაგვხოცავენ, მაგრამ ამაზე არ იდარდოთ.

ჟურნალისტი ჩაფიქრდა.

– შანსი არც მაგათ უნდა მივცეთ, – თქვა მერე.

– მე და ემილი ამაზე ბევრს ვფიქრობთ. ჩვენი აზრით, მოვლენებს თან უნდა მივყვეთ, ანუ არ ავჩქარდეთ.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ემილი შემოვიდა ყავის ფინჯნებიანი სინით ხელში.

– ყავას ხომ დალევთ? – გაიღიმა მან და სინი მაგიდაზე დადგა.

– გამოგიშვებს? – ჯერემიმ ტუჩებში აკოცა ცოლს.

– ჯერემი, ჩვენს ახალ სტუმარს არ გამაცნობ? – მხიარულად იკითხა ქალმა, – მე ემილი ვარ, ემილი უილსონ რული.

– კარგია, ასეთ სიტუაციაში ოპტიმიზმს რომ ინარჩუნებთ, – გაუღიმა პიტერმა ქალს.

– რომელი ოპტიმიზმი? – მხრები აიჩჩია ემილიმ, – შიშისგან აღარა ვარ.

– სიტუაციას ხომ მაინც აკონტროლებთ?

– ჩვენ დროში ვცხოვრობთ და დროის იმედი გვაქვს, – თქვა ქალმა, – არ შეიძლება, ეს კომმარო დიდხანს გაგრძელდეს.

– არადა, საქმე მკვლელებთან გაქვთ, – შენიშნა პიტერმა.

– იცით, ის ოჯახი მათ გასართობად ამოჟლიტეს, – თქვა ემილიმ, – აქამდე ჩვენც მოგვკლავდნენ, რომ არ ვჭირდებოდეთ. ვიდრე აქ არიან, ჭამა ხომ უნდათ?

– ჰო, ასეა, – დაემოწმა ჯერემი.

– ლინდას როგორ ექცევიან?

– აკი გითხარით. ვიდრე თქვენ და საუტკორტი გამოჩნდებოდით, ის ნარკომანი მანგერი სერენადებს უმღეროდა, მერე კი ლულა მიადო შუბლზე.

– სხვები?

– ალბათ სხვებიც იმაზე ფიქრობენ, იმ გოგოს როგორ ეძგერონ.

– თქვენ კი მშვიდად უყურებთ, ხომ?

– რა უნდა ვქნათ, თავი შევაკლათ?

– ჯერემი, მინდა, რაღაცა გითხრათ.

– გისმენთ, ჟურნალისტო.

– ვიდრე თქვენ მათ სჭირდებით, იმედი არ უნდა დაკარგოთ.

* * *

იტერ სტაილზისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობდა. გამოსავალი ყოველთვის იყო, ოღონდ მის პოვნას დრო სჭირდებოდა. ბანდის მძევლებს რომ იარაღი ჰქონოდათ, შეიძლება ამ ახვრებს შებრძოლებოდნენ კიდეც, მაგრამ თოფები მათ მტრებს ჰქონდათ და ეს ვარიანტი თითქოს გამორიცხული იყო.

ამ ფიქრებიდან ჟურნალისტი ნაცნობმა ხმამ გამოარკვია:

– რას შვრები, მოხუცო, ფიქრობ?

ზღურბლზე კრამერი იდგა და ავად ილიმებოდა.

- იფიქრე, იფიქრე, შენ კი, ჯერემი, დროა, მადამთან ერთად ვახშამზე იზრუნო. სტაილზს მარტო უნდა ველაპარაკო.
- ჯერემიმ უმწეოდ აიჩეჩა მხრები და ემილისთან ერთად ოთახი დატოვა. კრამერმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა, მერე მაგიდის კიდეზე შემოჯდა და პიტერს მიაჩერდა.
- სტაილზ, – დაიწყო მცირე ხნის შემდეგ, – მე შენს შესახებ ყველაფერი ვიცი. უფრო სწორად, თითქმის ყველაფერი. მუშაობხე ჟურნალისტი ხარ, სამართლიანობისათვის მებრძოლი, მოკლედ, სახალხო გმირი. ისიც ვიცი, მეტალის ფეხი რომ გაქვს და ისიც, ეს როგორ მოხდა. მარჯვენაა თუ მარცხენა?
- მარჯვენა, – პიტერი გაფითრდა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.
- ვიდრე ბებრები ვახშამს ამზადებენ, შეგვიძლია ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ. დაჯექი, დაჯექი, ფეხი არ დაღალო.
- პიტერი მოლბერტის წინ მდგარ ბმრუნავ სკამზე ჩამოჯდა და კრამერს შეაცქერდა.
- იმედია, აქაურ სიტუაციაში ჯერემიმ გაგარკვია, – კრამერი ტუჩებით ათამაშებდა სიგარეტს.
- ჰო, – მიუგო ჟურნალისტმა.
- შენ კი დანებებას არ აპირებ, ხომ? მინდა, მის მონაყოლს რაღაცეები დავამატო.
- გისმენთ.
- მინდა, ის გითხრა, რაც ჯერემიმ ალბათ არც იცის. მთავარი აქ მე ვარ, მაგრამ ჩემი სიტყვა კანონი არ არის. მე, მაგალითად, გიტარისა და მით უფრო, ქალისთვის ჯორჯს ქალაქში არ გავუშვებდი, მაგრამ ვინ დამიჯერა? მოკლედ, რაღაცეებს არ მიჯერებენ. გასაგებია?
- ვხვდები.
- თუ შენ აქ გმირობის ჩადენას მოინდომებ, შეიძლება ისეთი რამე დაგმართონ, რომც მოვინდომო, ვეღარ გიშველი. მინდა იცოდე, რომ ეს ბიჭები ყველაფრის ჩამდენები არიან.
- მე უფრო თქვენ მაინტერესებთ.
- მართლა? – ჩაიცინა კრამერმა, – თქვენც ხომ... კარგი, ამაზე მერე... ჩვენ ახლა აქ აღარც ვიქნებოდით, ამ გამოშტერებულ მანგერს რომ არ აერია ყველაფერი. ახლა კი იძულებულნი ვართ, აქ ვიყოთ და გასაქცევად შესაფერის დროს დაველოდოთ.
- ჯერემიმ რომ პროდუქტების მოტანაზე უარი გითხრათ?
- შევეცდებით, გადავარწმუნოთ.
- რანაირად?
- აკი გითხარი, ჩემი ბიჭები ყველაფერზე წავლენ. ალბათ ხვდები, ემილის და ლინდას რომ ვგულისხმობ... მით უფრო, რომ ამგვარი გამოცდილება უკვე აქვთ.
- მთელი ოჯახი რომ ამოწყვიტეთ, ხომ?
- თუნდაც ის ამბავი... ბიჭები ისეთი თავაშვებულები იყვნენ, მე ვერც კი შევაჩერებდი.
- რომც მოგენდომებინათ, ხომ?

– რომც მომენდომებინა, – კრამერმა ნამწვი მოისროლა და ახალი სიგარეტი გააბოლა, – მოხუცო, გადარჩენის გზა ყველასთვის მოჭრილია. ალბათ ჩემს გარდა. მე როგორმე მექსიკაში გადავალ, იქიდან კი სადმე გავემგზავრები. დანარჩენებს ამისთვის ჭკუა არ ეყოფათ. მათ მხოლოდ სხვისი სისხლის დაღვევა სურთ.

– მერე გაიქეცით, რაღას უცდით?

– ოთხ ახვარს და ერთ ბრწყალეზიან აფთარს როგორ გავექეცე?

– აფთარს?

– ჰო. ჟღალთმიანს ვგულისხმობ. ის ჩემს გემოვნებაში არ ზის და ალბათ იმ ოთხის მხარეს დაიჭერს. ისე, ხვდებიან, მათზე ჭკვიანი რომ ვარ და ამიტომ მემორჩილებიან, მაგრამ, თუ მათ წინააღმდეგ წავალ, ერთად შემომიტევენ და ჭიანჭველასავით გამსრესენ, ისევე, როგორც ჩვენს მასპინძლებს, როგორც კი აღარ დასჭირდებათ.

– ლინდა გრანტს?

– არც მაგას დაინდობენ, – კრამერმა ტუჩები გაილოკა, – ეს გოგო ჯერჯერობით იმ გამოთაყვანებული ჯორჯის ხელშია, რომელიც სერენადებს უმღერის, თავი რომ შეაყვაროს. სასაცილოა, პირდაპირ!

– ეს ბანდა როგორ შეკრიბეთ?

– გრძელი ისტორიაა, – მოიღუშა კრამერი, – მაღალი, ქერა ბენ მარტინი და ფერმკრთალი დიუკ ლონგი ნიუ იორკის გარეუბნიდან არიან და ფაქტობრივად ერთად იზრდებოდნენ. ბენის მამა პორტის მტვირთავი იყო, დიუკმა კი არც იცის, ვინ იყო მისი მამა. დედამისი სხვადასხვა კაცების ათ შვილთან ერთად ცხოვრობდა და მათ შორის იყო დიუკიც. ბიჭები ქურდობას ბავშვობიდანვე მიეჩვივნენ, შეყვარებული გოგო კი საერთო ჰყავდათ – ჟღალთმიანი ტრუდი გარეტი. ვიღაცამ ისინი ნარკოტიკებსაც მიაჩვია და მას შემდეგ ფულის საშოვნელად მარცვასაც მიჰყვეს ხელი. ერთხელ ბენს მამასთან ჩხუბი მოუვიდა და დანით მოკლა. ამის შემდეგ, ცხადია, სახლიდან გაიქცა და ასე იქცა სამივე ქუჩის მაწანწალებად. ამ ხეტიალ-ხეტიალში მათ კონექტიკუტამდე მიაღწიეს. დღისით იმალებოდნენ, ღამით კი ქურდობდნენ. სადღაც გზაზე მათ ჯეიკ ტელიცკი აეკიდათ, ყველაზე ზორბა ჩვენ შორის და დაახლოებით ისეთივე წარსულის მქონე. ჩემი ვარაუდით, იმ გოგოს ჯეიკიც ხმარობს. მერე ჯორჯ მანგერიც შეემატათ, ნამდვილი ქუჩის ბიჭი და მათსავით გაფუჭებული. მათ უკვე პოლიცია ეძებდა, ერთ ღამეს კი, როცა კუთხეში მიიმწყვდიეს, გამოვჩნდი მეც.

– თქვენც გამოქცეული იყავით?

– ჰო, – მოკლედ მიუგო კრამერმა, მაგიდიდან ჩამოხტა, ჯერემის ფინჯანში ცივი ყავა დაისხა, დალია და ძველ ადგილს დაუბრუნდა, – მოკლედ, მე ამ ბანდის წევრი და ფაქტობრივად, მეთაური გავხდი. დანარჩენი შენ უკვე იცი.

– გასაგებია.

– ყველას, ვინც აქ ვართ, თავისუფლება გვინდა – მეც, შენც, ბანდის წევრებსაც, მოხუც ჯერემის და მის მენატურესაც, ასევე იმ ქალიშვილსაც, მანგერმა რომ მოათრია, თუმცა აქ არის ერთი მაგრამ.

– რას გულისხმობ?

– თავისუფლება ყველას სხვადასხვაგვარად გვესმის. ჩვენ, მაგალითად, ისეთი ცხოვრება გვინდა, როგორც მოგვესურვება, მაგრამ სხვებს ჩვენი ჭიანჭველებად ქცევა სურთ. შენ ან ასეთი უნდა გახდე, ანდა...

– მაშ, იმიტომ გარბიხართ, ჭიანჭველობა რომ არ გსურთ?

– თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მე რატომ გავრბივარ.

– აქვს, – მიუგო პიტერმა, – თუ ერთხელ გაქცევა გაიძულეს, გამორიცხული არაა, ეს განმეორდეს.

კრამერმა ისე დააქნია თავი, თითქოს პიტერის ნათქვამი მოეწონაო.

– მოხუცო, ჩემზე ნუ დარდობ. მე მათ როგორღაც ვაკავებ. შენი ერთი არასწორი ნაბიჯი და ისინი ყელში გწვდებიან.

– საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად მეც ხომ უნდა ვიბრძოლო?

– ეს გასაგებია, მაგრამ მე უფრო შორს წავედი, ანუ ღმერთად გახდომა მოვიწადინე! პიტერმა გაკვირვებით შეხედა კრამერს, ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო, მაგრამ ამ უკანასკნელს ამგვარი ვერაფერი შეატყო.

– და სცადეთ კიდევ? – შეაპარა პიტერმა.

კრამერი მოიღუშა.

– მე, უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სპეციალისტი, ამას მართლა შევეცადე. ჯერ სხვადასხვა ადამიანებზე ათასამდე პატარ-პატარა ცდა ჩავატარე, მაკონტროლებელი ბერკეტები რომ მომესინჯა, მერე კი დიდი ექსპერიმენტი დავიწყე. იყო ერთი ბიჭი მდიდარი და გავლენიანი ოჯახიდან, თანაც ლამაზი, მომხიბლავი ღიმილით. ჩემს თავს ვუთხარი, ამ ბიჭს მეფედ გადავაქცევ-მეთქი. მისი გარეგნობით და ჩემი ტვინით ჩვენ მთვარესაც კი დავიპყრობდით, თან გულში გავიცინებდი, ამ უტვინოს ჩემს ჭკუაზე რომ ვაცეკვებდი.

– მერე გამოგივიდათ?

– მან უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩამოიხრჩო თავი.

– რატომ?

კრამერმა ჩაიცინა, პიტერი კი სმენად იყო ცქეული.

– ჩვენ მასობრივი ძალადობის ეპოქაში ვცხოვრობთ. დემონსტრაციებიც მასობრივი გახდა. მართლხელა მგელს ამ სიტუაციასთან შეგუება ძალიან გაუჭირდება. მას ისე გადათელავენ, ზედაც არავინ შეხედავს. ყველა რაღაცისთვის იბრძვის, ან ჰგონია, რომ იბრძვის, ბოლო კი ყველას ერთი აქვს...

– თქვენს მეგობარზე ლაპარაკობდით, – შეახსენა პიტერმა.

– იდიოტი, – კრამერმა კერამიკის იატაკზე გადააფურთხა, – მეგონა, ხვდებოდა, რისკენაც მივისწრაფოდით, მას კი თურმე მე შევუყვარდი. ეს რომ გავიგე, მაგრად ვჟეჟე, მერე კი, როგორც გითხარით, თავი ჩამოიხრჩო.

– მერე თქვენ...

– მეც ავდექი და გამოვიქეცი, ვინმეს ისეთივე რომ არ ვგონებოდი, მერე კი ამათ შევხვდი.

კრამერმა შეისვენა, თითქოს აზრებს იკრებსო. მერე კი განაგრძო:

– თავიდან ეს კომპანია მხიარული მეჩვენა, რომელიც პოლიციას ემალებოდა, მერე კი, როცა ყველაფერს მივხვდი, მათ ვეღარ ჩამოვცილდი და, ეტყობა, ჩემი განათლების გამო მათი ლიდერიც კი გავხდი.

– ბუნებრივია, – შენიშნა პიტერმა.

– მერე იმ ხოცვა–ჟლეტის გამო შტატიდან გამოვიქეცი და ამ სახლს შევაფარეთ თავი. აქ კარგია, მე მომწონს, – კრამერმა ისევ გააბოლა, – აქ ჩვენ, ყველას, ერთმანეთი გვჭირდება. ჯერემიმ რომ რამე არ გაბედოს, ბანდა ერთსულოვანი უნდა იყოს, მერე კი, როცა აქედან წასვლას დავაპირებთ...

– ყველას ამოხოცავთ, – ჩაურთო პიტერმა.

– რა თქმა უნდა, – გაიღიმა კრამერმა, – სხვაგვარად არ გამოვა. მე ჩემს გზას ვიპოვი, აი, დანარჩენები არ ვიცი, როგორ გადარჩებიან. მოხუცო, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თქვენს დღეში ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი.

– შეცდომა რომ დაუშვათ? ამგვარი ალბათობა ყოველთვის არსებობს, – შენიშნა პიტერმა.

– ჰო, ოღონდ არა ჩემგან. აი, თქვენ კი, ყველას, სიკვდილი გელით.

– როგორც ვხედავ, თქვენ ჩემთანაც ღმერთის როლს თამაშობთ.

კრამერს გაეცინა:

– ასე რომ არ იყოს, მოწყენილობისაგან მოვკვდებოდი, მოხუცო!

* * *

კერამიკის იატაკიანი რულების სამზარეულო მრავალრიცხოვან სტუმრებზე იყო გათვლილი და საკმაოდ შთამბეჭდავი ზომები ჰქონდა. აქ ყველაფერს ნახავდით, რაც კი იმდროინდელი კერძების მომზადებას სჭირდებოდა, შუაში კი დიდი, გრძელი მაგიდა იდგა, საჭმელების მოსამზადებლად და მისართმევადაც რომ იყენებდნენ ერთდროულად.

ღუმელი შეშით თბებოდა, რასაც ჯერემი იმარაგებდა კარგ ამინდებში. სამზარეულოს ერთ კედელს მისივე ნახელავი უზარმაზარი ნატურმორტი ამშვენებდა ხილით, ბოსტნეულით და ნანადირევი კურდღლებით თუ ფრინველებით, მეორე მხარეს კი ემილის პორტრეტი ეკიდა, გულს მიხუტებული პატარა, თეთრი პუდელით.

სწორედ ამ სამზარეულოში ფუსფუსებდა ახლა ცოლ–ქმარი და მტრებისათვის ვახშამს ამზადებდა. ცეცხლი, რომელზეც ემილი ბიფშტექსებს წვავდა, ოთახის ჰაერს ათბობდა.

სხვები მაგიდას შემოსხდომოდნენ, კერძოდ კი კარლ კრამერი, ბენ მარტინი, ჯეიკ ტელიცკი, ჟღალთმიანი ტრუდი და ჟურნალისტი პიტერი. დიუკ ლონგი, როგორც ჩანს, გარედან დარაჯობდა შენობას, ჯორჯ მანგერი კი, თავისი უნიჭო სერენადებით,

ისევ ლინდა გრანტის მოხიზვლას ცდილობდა. მოკლედ, ყველანი აქ იყვნენ, ამ სამის გარდა.

– ჯორჯმა მითხრა, ვახშამი აქ მოგვიტანეო, – მიმართა ტელიცკიმ კრამერს.

– თავად ჩამოვიდნენ, – მიუგო კრამერმა, – უკეთესი იქნება, ერთად ვიყოთ.

– ვეტყვი, – ტელიცკი წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

ვახშამი კარგი იყო: მაგრად შებრაწული ბიფშტექსები, შემწვარი კარტოფილი ხახვით და პომიდვრის სალათა კიტრითა და მწვანილით. პიტერი მიხვდა, ჯერემი რომ ამგვარ ვახშამს იყო მიჩვეული. მოხუცებს მაგიდის ერთი ბოლო ეკავათ, დანარჩენებს მეორე. კრამერი ჩუმად იყო, მარტინი ხარბად ჭამდა, ტრუდი გარეტი კი პიტერს მისჩერებოდა.

– კარგი ავტო გყავს. იაგუარში არასოდეს ვმჯდარვარ.

– ჰო, კარგი მანქანაა, – თავი დააქნია პიტერმა.

მარტინი თეფშს მოსწყდა:

– საპატრულო მანქანას გაასწრებს, ხომ?

პიტერმა მხრები აიჩეჩა:

– აქაურ გზებზე საპატრულოები იაგუარს არ ჩამოუვარდებიან.

მარტინი ჩაფიქრდა. მისი ჩანგალი ჰაერში იყო გაშეშებული.

– ძალიან მინდა, მთვარიან ღამეში იაგუარით გავისეირნო, – ინატრა ჟღალთმიანმა.

– დაივიწყე, – გამოცოცხლდა კრამერი, – გასეირნებები არ დაგვკლებია. ახლა აქედან წასულიც ვიქნებოდით, ჯორჯს ღამდამობით რომ არ ეხეტიალა.

– ახლა კი იმ სულელ გოგოს სერენადებს უმღერის, – ჩაიხითხითა ტრუდიმ.

– ტრუბადურია ნამდვილი, – აჰყვა კრამერი ღიმილით.

ამ დროს კარი გაიღო და სამზარეულოში ტელიცკი გამოჩნდა ლინდას თანხლებით, რომელიც ტყვეობაში ყოფნას ისე შეეცვალა, რომ პიტერმა ძლივს იცნო. სახე სხვადასხვა ფერის საღებავებით ჰქონდა მოთხუპნული, რაც, ცხადია, იმ შერეკილი ჯორჯ მანგერის ნახელავი უნდა ყოფილიყო. ახლა ლინდა კარიკატურას უფრო ჰგავდა, ვიდრე თავის თავს. აშკარა იყო ისიც, რომ ლინდას მოკლე ღამის ხალათის გარდა არაფერი ეცვა. ის ფეხზე ძლივს იდგა და ეტყობოდა, ძალიან რცხვენოდა.

– შემოდი, პატარავ, – თქვამ ტელიცკიმ, – ვიდრე ამის საშუალება გაქვს, რამე უნდა ჭამო.

ტრუდი ისევ აკისკისდა, პიტერი კი ფეხზე წამოდგა და ლინდას მიმართა:

– მის გრანტ, აქაა თავისუფალი ადგილი, – და თავისი გვერდითა სკამი გამოსწია.

– ჯორჯს ეს არ მოეწონება! – ჩაიფრუტუნა ტრუდიმ.

ლინდა სკამთან მივიდა, დაჯდა და მაგიდისკენ ახლოს მიიწია.

პიტერმა ქალიშვილს შეხედა, მერე წამოდგა და ემილისთან მივიდა, რომელიც ლინდას თეფშს უვსებდა.

– სუფთა პირსახოცი ხომ გაქვთ?

– ახლავე, – მიუგო ქალმა.

პიტერმა იგრძნო, ღეჭვას რომ შეეშვა ყველა და მას მიაჩერდა. ჟურნალისტმა პირსახოცი წყალში დაასველა, გაწურა და ლინდასთან მივიდა:

– სახე მოიწმინდეთ.

გრანტი ასეც მოიქცა, რამაც სუფთა პირსახოცი ერთიანად ააჭრელა.

– რამე ტანსაცმელს ხომ არ მოიტანდით? – შეეკითხა პიტერი გარეტს.

– ჯორჯს ეს არ მოეწონება, – გაიმეორა ტრუდიმ.

– რამე მოუტანეთ, – ბრძანების ტონით თქვა პიტერმა.

ტრუდიმ კრამერს შეხედა, რომელიც იღიმებოდა:

– სასაცილოა, არა?

გარეტიმ ეს თანხმობად ჩათვალა და სამზარეულოდან გაფარფატდა.

– კარლ, – მიმართა ბენმა კრამერს, – ვინაა აქ უფროსი, შენ თუ ეს მოთრეული ტიპი?

– ცოტა გართობა არ გვაწყენდა, – იყო პასუხი.

პიტერი ლინდას გვერდით ჩამოჯდა.

– სამწუხაროდ, მეც ტყვე აღმოვჩნდი... ფეხებზე რა დაგემართათ?

– მთაზე ფეხშიშველი ამომათრიეს და... ო, ღმერთო! მისტერ სტაილზ, გვეშველება რამე?

– ძნელი სათქმელია.

– აქედან ვერ გავაღწევთ?

– ჯერ არ ვიცი, როგორ.

– მე მეძებენ?

– აქ საუტვორტი იყო, მაგრამ ჯერემიმ კუდით ქვა ასროლინა.

– კი მაგრამ, რატომ?

– ასე რომ არ ექნა, ყველას დაგხოცავდნენ.

ისინი ისე ხმადაბლა საუბრობდნენ, მათი ლაპარაკი სხვებს არ ესმოდათ.

ამ დროს ტრუდიმ გამოჩნდა, ლინდასთან მივიდა და რაღაც ტანსაცმლის მსგავსი ცხვირწინ დაუყარა:

– მეტი ვერაფერი ვნახე.

მათთან ემილი მივიდა.

– გვერდით პატარა ოთახია. შედით და გამოიცვალეთ, – უთხრა ლინდას.

– ერთი წუთით! – მოისმა ამ დროს კარის მხრიდან და სამზარეულოში ჯორჯ მანგერმა შემოალაჯა.

– ღამის ხალათი მისტერ სტაილზის გემოვნებაში არ ჯდება, – ღიმილით განუმარტა კრამერმა.

– მიმიფურთხებია! – მოკლედ ისროლა ჯორჯმა.

– ჯორჯ, შენს გოგოს ლამაზი კაბა მოვუტანე, – ჩაერთო ტრუდიმ.

– მერე ვინ გთხოვა? მე ის ასეთიც მომწონს!

– წადით და გამოიცვალეთ, – გაუმეორა ლინდას პიტერმა.

ლინდა, ტანსაცმლით ხელში, გახევებული იდგა და ადგილიდან არ იძროდა. მისკენ

მანგერი წამოვიდა, ორ ფუტზე გაჩერდა და გამომწვევად ისროლა:

– მაშინ აქ გამოიცვალოს, ჩვენ კი ვუყურებთ!

– შედით იმ ოთახში! – უბრძანა ლინდას პიტერმა.

ჯორჯი ისტერიკულად ახარხარდა, ხელი წინ გაიშვირა და ქალიშვილს ხალათი მხრიდან გადაადრო.

ამის გაკეთება და პიტერის მუშტის მოქნევა ერთი იყო, თანაც ისე ძლიერად, რომ მანგერმა თავი ვერ შეიკავა, კერამიკის იატაკზე დაცემისას მხარზე გადაკიდებული თავისი განუყრელი გიტარაც ქვეშ მოიყოლა და ნამტვრევებად აქცია.

ჯორჯი წამოიწია, ხელი გასისხლიანებულ ცხვირზე მოისვა, მერე იატაკიდან წამოხტა და ჯიბიდან სწრაფად ამოღებული პისტოლეტი პიტერს დაუმიზნა. ეს ჟურნალისტის იარაღი იყო, დილით რომ ამოცალეს ჯიბიდან.

– ჯორჯ, – შეაჩერა ის კრამერმა, – არ გინდა. სროლის ხმაზე მთელი ქალაქი შეიყრება, ჩვენ კი ეს არ გვაწყობს. შეგიძლია ისე სცემო, ნება მომიცია.

– ვცემ კიდევ! – დაიქანდა ბრაზისაგან აცახცახებულმა მანგერმა და ხელი ჯიბეზე იტაცა.

– ლინდა, შედით და გამოიცვალეთ, – უკვე მერამდენედ გაუმეორა ჟურნალისტმა ქალიშვილს.

ამ დროს ჰაერში ბასრპირიანმა ფინურმა დანამ იელვა და მე შენ გაჩვენებ სეირის ძახილით მანგერმა პიტერისკენ ისკუპა.

ჟურნალისტის ბედად, თავდაცვის რეფლექსმა ავტომატურად იმუშავა – მიუხედავად პროთეზისა და ამის გამო შესუსტებული კოორდინაციისა, მან მანგერის მოქნეულ ხელს მაჯაში წაავლო, მაგრად მოუგრინა, ისე, რომ დანა ხელიდან გააგდებინა, მერე კი თავად მანგერი აიტაცა ხელში და სამზარეულოს შორეული კუთხისკენ მოისროლა. სამზარეულოში სიჩუმე ჩამოვარდა. მანგერი კედელთან გაუნძრევლად ეგდო. არ განძრეულა კრამერიც და მხოლოდ თვალები დაუპატარავდა. ტელიცკი და მარტინი მას მისჩერებოდნენ, თითქოს ბრძანებას ელიანო.

ტრუდი წამოხტა, ჯორჯთან მიიჭრა, ჩაიჩოქა და თავით თავისკენ შემოატრიალა.

– გათიშულია! – ჟღალთმიანმა კრამერს შეხედა, – კარლ, მგონი, მოკვდა.

კრამერი აუჩქარებლად წამოდგა, ტრუდისთან მივიდა, ჩაიკუზა, ჯორჯს ქუთუთოები აუწია, ჩახედა, მერე ისევ წამოდგა და პიტერს ცივად გაუღიმა:

– მაგარი ყოფილხარ, მოხუცო!

პიტერს პირი გაშრობოდა. მარჯვენა მხარში მწვავე ტკივილს გრძნობდა, რაც მანგერის მძლავრად მოქნევამ გამოიწვია.

– გეგონათ, დანას დაირტყამდა? – დაიგუგუნა ჯერემის ხმამ.

– მე არაფერი მეგონა, – შეუღრინა კრამერმა, – თავდაცვის უფლება ყველას აქვს.

– შეიძლება დავხედო? – იკითხა ემილიმ, – პირველი დახმარების გაწევა ნამდვილად შემიძლია.

– დახედეთ, – ნება დართო კრამერმა, რომელიც პიტერს მისჩერებოდა, მერე კი

ტელიცკის მიუბრუნდა, – ჯეიკ, დიუკს დაუძახე. ერთად უნდა მოვიფიქროთ, რა ვქნათ.

ტელიცკი თითქმის სირბილით გავარდა სამზარეულოდან.

ემილი ჯორჯის წინ ჩაცვუცილიყო და პულსს უსინჯავდა. მერე წამოდგა, კრამერს შეხედა და დიაგნოზი დასვა:

– ჯერ ცოცხალია.

– დედილო, რა ვქნათ? – შეეკითხა კრამერი.

– თუ მისი გადარჩენა გინდათ, ექიმს უნდა გამოვუძახოთ, თანაც სასწრაფოდ.

– ხომ იცი, რომ ეს შეუძლებელია? – წარბები აზიდა კრამერმა.

– მაშინ იდექით და ელოდეთ, როდის მოკვდება.

ამ დროს სამზარეულოში ტელიცკი და დიუკ ლონგი შემოიჭრნენ და ჯორჯის წინ გაჩერდნენ.

– გარეთ რა ხდება? – იკითხა კრამერმა.

– სამხრეთ ფერდობიდან გადაძახებები ისმის, – მიუგო ლონგმა.

– აქ რომ გვესროლა, გაიგონებდნენ, – შენიშნა კრამერმა და გააბოლა, – დედილო, ამ ტიპს რა ვუშველოთ?

– აკი გითხარით, ექიმია საჭირო.

კრამერი ახლა პიტერს მიუბრუნდა:

– მოხუცო, მგონი დროა, ჭკუა გასწავლოთ. ჯეიკ, იქნებ ეს საქმე თქვენ სამს გეკისრათ, ჰა?

ტელიცკიმ თავი დააქნია, მარტინი და ლონგი კი პიტერისკენ დაიდრნენ.

– არა! – შესძახა უკვე ჩაცმულმა ლინდამ, – ეს ჩემი ბრალია, პიტერი ჩემს დაცვას შეეცადა.

– თქვენ შემდეგი ხართ, – გაიცინა კრამერმა, – ჯორჯისთვის რომ დაგეჯერებინათ, არაფერი მოხდებოდა.

– თქვენს მეგობარს სასწრაფოდ უნდა შველა, – შენიშნა ემილიმ მშვიდად, – შეიძლება ახლავე მოკვდეს.

– ეს ქალი მართალია, – თქვა კრამერმა, – მისტერ სტაილზს მერეც მოევლება. ჯეიკ, დიდი საბანი მოიტანე. აქვე იქნება, პატარა ოთახში.

ტელიცკიმ კბილების კრაჭუნით გასწია კარისკენ.

– ჰო, – თქვა ემილიმ, – იქ საბნებიცაა და საწოლიც. თქვენი მეგობრისთვის საუკეთესო ადგილია.

ტელიცკიმ სქელი საბანი მოიტანა. ჯორჯი ორმა კაცმა იმ საბანზე დააწვინა, მერე კი, უკვე ოთხმა, საბნიანად პატარა ოთახში გაიტანეს.

– ცუდად გამოიყურება, – ჩაილაპარაკა ტელიცკიმ, როცა დაშავებული საწოლზე მოათავსეს.

– ჰო, – დაეთანხმა ემილი და ჯორჯს მეორე საბანიც გადააფარა.

– ახლა რა ვქნათ? – იკითხა კრამერმა.

– ილოცეთ, რომ გადარჩეს, – ურჩია ემილიმ.

– მერე გადარჩება?

– ეს უფალმა უწყის.

* * *

ნაზდად პიტერმა მკლავზე ვიღაცის ხელის მარწუხივით მოჭერა იგრძნო, მერე კი ამ ვიღაცამ ხელის კვრით სამზარეულოში გამოაგდო. პიტერმა ჯერ წაიბორძიკა, მერე კი, როცა პროთეზის მოძრაობა იგრძნო, ოთხზე დაეცა და თავი ასწია. კრამერი მშვიდად ეწეოდა, შეშინებული ლინდა მაგიდის კიდეს ჩასჭიდებოდა, მოშორებით კი ჯერემი იდგა ქანდაკებასავით.

პიტერმა ისევ იგრძნო დარტყმა, ოღონდ წიხლის და გვერდში. ის იატაკზე გაიშოტა ტკივილისაგან შეწუხებული. მაშინვე ფეხზე წამოაყენეს და ახლა გაავებულ ტელიცკის მუშტი ებგერა სახეში. ჟურნალისტი ისევ წაიქცა და იგრძნო, როგორ კარგავდა გონებას.

– შეჩერდით! – იყვირა ჯერემიმ, – ვიდრე მოკლავთ, იფიქრეთ, ამას რა მოჰყვება! პიტერი მთელი ძალით ცდილობდა, გონება არ დაეკარგა. მას ბრაზი და შურისძიების წყურვილი ახრჩობდა ერთდროულად.

– შედეგები კი ასეთია, – განაგრძო ჯერემიმ, – მე საყიდლებზე აღარ გაგეგზავნებით, ემილი კი კერძებს აღარ მოგიმზადებთ. ამის გამო თქვენ იძულებული გახდებით, დანარჩენებიც დაგვხოცოთ.

– ნუ გვაღიზიანებ, ბებერო! – კბილებშუა გამოცრა კრამერმა.

– დილით ქალაქში მელიან. თუ არ გამოვჩნდები, რაღაცას იცნოსავენ და აქ მოგვადგებიან. თქვენთვის ეს დასასრული იქნება, რადგან, ვიდრე ისინი ლინდას ეძებენ, აქაურ ტყეებს თავს ვერ დააღწევთ, ძიება კი შეიძლება კარგა ხანს გაგრძელდეს. მოკლედ, ახლა ჩვენ თქვენ ძალიან გჭირდებით და არც ამ კაცის მოკვლას აქვს აზრი.

– რას გვევაჭრები, ბებერო? – აღმოხდა კრამერს, თუმცა ნაკლებდამაჯერებლად. ტელიცკი მათ საუბარს ყურს არ უგდებდა და ის იყო, დაიხარა, ერთიც რომ ეთავაზებინა პიტერისათვის, რომ ამ უკანასკნელმა ფეხი აიქნია და ისეთი ძალით აძგერა ტელიცკის საზარდულში, რომ ჯეიკმა შეჰყვირა, მერე კი წელში მოიხარა ტკივილის შესანელებლად. ჩხუბში აქ უკვე მარტინი და დიუკიც ჩაებნენ და გააფრთხილეს ებგერნენ პიტერს... იმავე წამს შეჰკვივლა ლინდამ, ღონემიხდილ ჟურნალისტს კი თვალთ დაუბნელდა და მალე გონებაც დაკარგა.

* * *

იტერ სტაილზმა თვალები თითქმის სრულ სიბნელეში გაახილა და მთელ სხეულში მწვავე ტკივილი იგრძნო. მისი ხელი ნელ–ნელა ჩაუყვა მარჯვენა ფეხს, მაგრამ პროთეზი იქ აღარ იყო. პიტერმა საოცარი უმწეობა იგრძნო. ხელის უბრალო მოძრაობაც კი ჯოჯოხეთურ ტკივილს აყენებდა. გადაბრუნებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

– გაიღვიძე? – მოესმა უცებ ტრუდის ხმა, რომელიც იქვე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა,

მერე მისი ცივი ხელი სახეზე შეეხო, – წყნარად იყავი. როცა გონს მოხვალ, მათ უნდა შევატყობინო.

– უპროთეზოდ როგორ ვიარო?

ტრუდიმ კაცს პროთეზის შეერთების ადგილზე მოუთათუნა:

– გტკივა?

პიტერი სირცხვილმა და გაღიზიანებამ შეიპყრო:

– მათ დაუმახე!

– ნუ ხმაურობ. სიგარეტი გინდა? შემიძლია ცოტა ვისკიც დაგაღვინო.

– რატომ არ ეძახი?

– ნუ ყვირი–მეთქი. რაც მალე გაიგებენ, მით უარესი შენთვის. აჰა, დალიე.

პიტერმა ტუჩებთან ცივი ბოთლის შეხება იგრძნო და არც დაფიქრებულა, ისე დაეწაფა სასმელს.

– "ჯეკ დენიელსია", – განუმარტა ტრუდმა, – უბრალო არ გეგონოს.

რამდენიმე ყლუპის შემდეგ ჟურნალისტმა თითქოს უკეთესობა იგრძნო და ბოთლი უკან დაუბრუნა ტრუდის.

– სიგარეტი გინდა?

– გმადლობთ.

ტრუდიმ ახალ სიგარეტს თავისაზე მოუკიდა და პიტერს ტუჩებში გაურჭო.

– ჯორჯი რას შვრება?

– როცა შენთან გამომგზავნეს, ჯერ ისევ სუნთქავდა. ემილის აზრით, ექიმის გარეშე მალე მოკვდება.

– ჩვენ სად ვართ?

– მეორე სართულზე, ჩემს საძინებელში. სუნამოს სუნი არ გცემს? ეს ნომერი 5

შანელია. ბენმა აწაპნა სადღაც და მე მაჩუქა. ზღაპრული არომატი აქვს, არა?

პიტერს არაფერი უპასუხია, ის სიბნელეში იყურებოდა და აზრების მოკრებას ცდილობდა.

– შენი მიკვირს. ჯორჯს რომ დაარტყი, არ იცოდი, რა გელოდა?

– ვხვდებოდი.

– აბა, რატომ დაარტყი?

– ლინდას დამცირებას შეეცადა.

– იმ ქალს გაშიშვლება არ უნდოდა?

– რა თქმა უნდა.

– შენ კი გამოექომაგე?

– იცი, მე ინსტინქტურად ვმოქმედებდი. სხვაგვარად უბრალოდ, არ შემეძლო.

ოთახში ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა.

– ჩემს დასაცავად კი ასე არავინ მოქცეულა, – თქვა ტრუდიმ ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, – ჩემს გამო ბიჭებს ბევრჯერ უჩხუბიათ, მაგრამ არა იმისთვის, რომ არ გამეხადა, არამედ პირიქით, – მან მწარედ ჩაიცინა, – ისე, არ მესმის, კ.კ. ასე რატომ

გექცევა. მას რომ ბიჭები არ შეეჩერებინა, ნამდვილად მოგკლავდნენ.

– ეს როგორ მოახერხა?

– ბიჭები დაარწმუნა, რომ ჯერემი არ ხუმრობს და რომ ის მათ სჭირდებათ.

– ჩემი აზრით, მოხუცი მართლა არ ხუმრობდა.

– არ მინდა სიკვდილი! – შესძახა მოულოდნელად ტრუდიმ.

პიტერმა გაკვირვებით შეხედა:

– ნეტა, ვის უნდა?

– როცა ისინი წავლენ, თან არ წამიყვანენ. მათთვის მე უკვე ზედმეტი ბარგი ვარ.

– კი მაგრამ, ბენი და დიუკი ხომ შენი მეგობრები არიან? თქვენ ხომ ერთად გაიზარდეთ?

– როცა ნამდვილი გასაჭირია, მეგობრობა აღარავის ახსოვს ანუ ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს. მათთვის მე იცი, ვინ ვარ?

– ვინ ხარ?

– წითელი ბაირადი. პოლიციამ იცის, ამ ჯგუფში რომ ჟღალთმიანი გოგო არის, ამიტომ ჩემ გამო მათ უფრო იოლად დაიჭერენ. აი, რატომაა, თან რომ არ წამიყვანენ. მე მათთვის საშიში ვარ, გასაგებია?

პიტერმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, ისე მიუწვა გვერდით ტრუდი და მუდარის ტონით განაგრძო:

– მიშველე, პიტერ! ძალიან გთხოვ, მიშველე!

– გიშველო? – დაიბნა პიტერი, – ცალფეხამ როგორ გიშველო?

– შენ ისეთი კაცი ხარ, რამეს აუცილებლად მოიფიქრებ, – ამ ეშვებოდა ტრუდი, – გამოსავალს იპოვი, გესმის? შენ თავსაც უშველი, სხვებსაც... და მეც. ამის ნამდვილად მჯერა.

– კარგი. მაშინ ერთ კითხვას დაგისვამ.

– დამისვი.

– მე და ჯერემიმ იარაღამდე როგორ მივალწიოთ? იქნებ ამაში შენ დაგვეხმარო?

– არა, პიტერ. მე სიცოცხლე მინდა, გესმის? სიცოცხლე.

უცებ დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა.

– არ გაინძრე! ვითომ გძინავს, გესმის? – სწრაფად ჩასჩურჩულა ტრუდიმ პიტერს და იმ სკამზე გადაჯდა, სადაც ცოტა ხნის წინ იჯდა.

ფანრის შუქმა ოთახი მოიარა და პიტერზე შეჩერდა, მას თვალები დაეხუჭა და გაუნძრევლად იწვა.

– ისევ უგონოდაა? – იკითხა კრამერმა.

– როგორც ხედავ.

– ჯანდაბას!

– კ.კ., ამ ტიპს რას უპირებ?

– გადარჩენას. რადგან მოხუცი გაჯიუტდა, ამიტომ გვჭირდება სტაილზიცი და ეს გახელებული ბიჭები მასთან არ უნდა მივუშვათ.

– მერე?

– მერეზე მერე ვიფიქროთ, კარგი?

– მე თან არ წამიყვანენ.

– შუა თამაშში წესების შეცვლა არ შეიძლება.

– რომელი წესები, კ.კ.? რომელი თამაში?

– ამ თამაშს გადარჩენა ჰქვია, პატარავ, წესები კი შემდეგია: ამ გზაზე არავინ და არაფერი გელობება. მოკლედ, დასასრულის მოახლოებისას მეც ისეთივე საფრთხე მემუქრება, როგორც შენ.

– მათ შენი იმედი აქვთ.

– კრიტიკულ სიტუაციებში აღარავის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, ერთმანეთისაც კი. შენმა მიხვედრილმა მეგობარმა, საწოლზე რომ გამოტილა, ეს კარგად იცის.

წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ატეხდა ჩხუბს, რომელშიც ვერ გაიმარჯვებდა? მე ბიჭებს ვუთხარი, რომ თუ ჯერემის დახმარება გვინდა, სტილზმა უნდა იცოცხლოს, რაზეც სერიოზულად დაფიქრდნენ. თუ რომელიმე ჩვენგანს რამე შეეშლება, აქ მთელი არმია გაჩნდება და რა დღესაც დაგვაყრიან, ალბათ ხვდები. მიმზიდველი პერსპექტივაა, არა?

– ჯერემი მართლა ასე საჭიროა?

– თუ რომელიმე იდიოტი აქ ჭიქა წყლისთვის შემოეხეტა, მხოლოდ ჯერემი შეძლებს მის დარწმუნებას, რომ ამ სახლში არაფერი ხდება. აქედან თუ ახლავე წავალთ, ტყეს ვერ გავცდებით, რადგან იმ გოგოს ახლა მგონი, მთელი შტატი ეძებს. ადრე თუ 2–3 პოლიციელი გვეძებდა, ახლა მთელი არმია გვეძებს და თუ აქ მოგვაგნეს, ერთ ლუკმად არ ვეყოფით. მოკლედ, ჯერემი ჩვენი ერთადერთი შანსია, – ფანრის შუქი საწოლს დაეცა, – ტრუდი, შეეცადე, ეს ტიპი გონზე მოიყვანო. ხვალ დილით სამხედრო საბჭო იკრიბება და მინდა, იქ იყოს.

– ცალი ფეხით ხომ არ წამოვა?

– მაშინ მისი წათრევა მოგვიწევს, – მიუგო კრამერმა და ოთახი დატოვა.

– გაიგონე? – თქვა ტრუდომ, როცა კრამერის ნაბიჯების ხმა მიწყდა, – ბენი, დიუკი და ტელიცკი შენთვის ძალიან საშიშები არიან.

– შენ ეს არ გეხება.

– ძალიანაც მეხება! მე მხოლოდ შენი იმედი მაქვს!

– მაშინ იარაღს დავუბრუნდეთ... თოფებს და ტყვიებს ის ტიპები სად ინახავენ?

– არ ვიცი, მაგრამ გაგება შემძლია.

– ჰოდა, გაიკითხე.

– მერე რა მოხდება?

– არ ვიცი.

ჟურნალისტი ჩაფიქრდა. როგორ შეიძლებოდა, ამ ყველაფრისთვის თავი დაეღწიათ? ბევრი იფიქრა, მაგრამ გამოსავალი არა და არ ჩანდა.

ბოლოს, ფიქრებისა და ტკივილებისაგან გასავათებულს, თავში რაღაც იდეა მოუვიდა.

– ტრუდი!

– რა იყო?

– რაღაც მინდა, გითხრა.

– გისმენ.

– ხომ შეიძლება, ჯერემიმ ქალაქში თოფი ან პისტოლეტი იყიდოს, სახლში მოიტანოს და შენი ახვარი ამფსონები ერთიანად ამოჟლიტოს? რამდენადაც ვიცი, ის კარგი მონადირეა და კარგადაც ისვრის.

– არა, პიტერ, – თავი გააქნია ტრუდიმ, – ამ ვარიანტზე კ.კ.–ს უკვე ნაფიქრი აქვს.

– მერედა, რა მოიფიქრა?

– ქალაქიდან მოსულ ჯერემის სახლის მახლობლად ხვდება და საგულდაგულოდ ჩხრეკს. როგორც ხედავ, კრამერის მოტყუება არც ისე ადვილია.

ირიჟრაჟა. შეშინებული ტრუდი ისევ პიტერის გვერდით იჯდა. თავის ერთადერთ მხსნელად ახლა მას ეს ხეივანი ჟურნალისტილა მიაჩნდა. პიტერი ქალიშვილს მიაჩერდა და წარმოთქვა:

– ადგომა უნდა ვცადო. არ მინდა, შენმა მეგობრებმა კიბეზე ჩამათრიონ.

– მოგეხმარები, – შესთავაზა ტრუდიმ.

– მე თვითონ. შენ შეგიძლია კრამერთან ჩახვიდე და მოახსენო, რომ მის სამხედრო საბჭოს აუცილებლად დავესწრები. ტრუდის იქ ყოფნა ბოჭავდა პიტერს. ბავშვობიდან არ უყვარდა, როცა ვინმე მისი სისუსტის მოწმე ხდებოდა.

– თან გაიგე, იარაღს სად ინახავენ. ამის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება.

– შევეცდები, – ტრუდი წამოდგა და ოთახიდან გავიდა. მარტო დარჩენილი პიტერი იდაყვებს დაეყრდნო, წამოიწია და მარცხენა ფეხი ძირს გადმოსწია. თვალთ დაუბნელდა, ისეთი ტკივილი იგრძნო, მაგრამ საკუთარ თავს გაუძალიანდა და ცალ ფეხზე წამომდგარმა ასკინკილით სააბაზანოს მიაშურა. სარკეში არც ჩაუხედავს, სახე ისე ჩამოიბანა, მერე ხელ–პირი პირსახოცით გაიმშრალა. თავი მხნედ იგრძნო.

გახეული პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოაძვრინა, მერე ჯიბეში სანთებელა მოძებნა და გააბოლა.

– პიტერ, სად ხარ? – მოესმა ამ დროს ტრუდის ხმა. ჟურნალისტი შემობრუნდა და ასკინკილით საძინებლისკენ გასწია, სადაც მას ჟღალთმიანი ქალიშვილი ელოდა.

– კარგად მოგიხერხებია, – შენიშნა ტრუდიმ, როცა პიტერი საწოლზე ჩამოჯდა და შარვლის მარჯვენა ტოტი ფეხზე მიიმაგრა.

– თოფებზე თუ გაიგე რამე?

– ჯერ არა. შენი მოხმარება დამავალეს, მაგრამ მგონი, არც გჭირდება.

– წავედით, – პიტერი ცალ ფეხზე წამოდგა. ტრუდი დერეფანში გავიდა. პიტერიც ასკინკილით გამოედევნა. როცა ფართო კიბეს მიუახლოვდნენ, ქალიშვილი შემოტრიალდა:

– მოგეხმარო?

– არა. კიბე რომ ჩაიარეს, პიტერს ჯერემი შემოეგება:

– როგორ ხარ?

– შესანიშნავად.

– მე კი აქ სიურპრიზი მოგიმზადე, – ჯერემი კიბის უკან შევიდა და იქიდან ინვალიდის ეტლი გამოაგორა. კმაყოფილი ჟურნალისტი მაშინვე შიგ მოკალათდა, ჯერემიმ კი მუხლებზე პლედი მიაფარა.

– დიდი მადლობა, – პიტერმა გაღიმება სცადა.

– ეგ არაფერი, – მიუგო მოხუცმა, – ახლავე სამზარეულოში შეგაგორებთ.

სამზარეულოში თბილოდა და ყავის სუნი იდგა. ემილი ღუმელთან ფუსფუსებდა, დანარჩენები კი მაგიდას მისხდომოდნენ და საუზმობდნენ. ლინდა ოფიციანტის როლს ასრულებდა.

– ლინდა, – მიმართა მას კრამერმა, – ინვალიდს საუზმე მოუტანე, ემანდ, მშიერი არ დაგვრჩეს. ლინდამ პიტერს საჭმელი მიუტანა, მერე კი მის გვერდით ჩამოჯდა:

– გუშინდელისთვის მაპატიეთ...

– ბუნებრივი რეაქცია იყო, – მიუგო პიტერმა და მისკენ შებრუნდა, – თუ გეძინათ მაინც?

– მე და ემილი ჯორჯთან ვმორიგეობდით რიგრიგობით.

– როგორაა?

– ჯერ ისევ ცოცხალია.

ანაზღად კრამერის ხმა გაისმა:

– ყურადღება! მთელი ღამე სახლის სახურავზე გავატარე. ეს მთა საახალწლო ნაძვის ხეს ჰგავს, იმდენი ხალხია შესეული. ასე რომ, ვიდრე ლინდას ძებნა გრძელდება, აქედან ფეხსაც ვერ მოვიცვლით.

– თოფები საკმარისი გვაქვს, – შენიშნა ბენ მარტინმა.

– ბენ, თუ ჩემი არ გჯერა, შეგიძლია დიუკი და ჯეიკი წაიყვანო და დამოუკიდებლად შეებრძოლო მათ. მე თქვენ ვერაფერს გიბრძანებთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ გადარჩენის შანსი ამჟამად არ გვაქვს. თუ აქ დავრჩებით, ეს შემოსეულები ოდესმე ხომ წავლენ? ამის გაგებაში ჯერემი დაგვეხმარება, ასევე კვებაში, რაც ალბათ ყველასთვის გასაგებია. ცუდი იქნება, თუ აქ რომელიმე მაძიებელი შემოეხეტა. მასა და სტაილზს შორის ის განსხვავებაა, რომ სტაილზს არავინ ეძებს და შეიძლება ბარჩესტერიდან წასულიც ეგონოთ. რაც შეეხება ჯერემის, ის ქალაქში უნდა გამოჩნდეს რეგულარულად, ამ სახლზე ეჭვი რომ არავინ აიღოს.

– მთაზე კიდევ რამდენ ხანს დარჩებიან? – იკითხა დიუკმა. კრამერმა ჯერემის შეხედა:

– თქვენ როგორ ფიქრობთ, მოხუცო?

– ჩემი აზრით, ბარჩესტერის მცხოვრებლებმა ჯორჯი მანიაკად ჩათვალეს, რომელმაც ლინდა გააუპატიურა, მერე მოკლა და სადღაც ტყეში მიაგდო, ამიტომ მისი გვამის ძიება კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რაც წესიერი ხალხისგან მოულოდნელი არც

არის.

– ასეც ვიცოდი, – თავი დააქნია კრამერმა.

– ტყე კი ათას აკრამდე იქნება, – დაასრულა ჯერემიმ.

– მაგრამ თქვენ მათ თავგზა უნდა აუბნოთ, – თქვა კრამერმა, – თუ საჭირო იქნა, ჩვენ აქ პირველ თოვლამდე დავრჩებით.

– და საბოლოოდ დავიცოფებით, – დაამატა ტელიცკიმ. კრამერმა ლინდას შეხედა:

– როცა დრო გვექნება, გავერთობით კიდეც. ახლა კი, ჯერემი, დროა, ქალაქში წახვიდეთ.

– ჯერ მაღაზიები დაკეტილია, – შენიშნა მოხუცმა.

– ცუდი არ იქნება, ადრე თუ მიხვალთ და გაიკითხ–გამოიკითხავთ, რა ხდება. თქვით, რომ ლინდა თვალითაც არ გინახავთ. აგრეთვე გაიგეთ, სტაილზსაც თუ ეძებენ.

გასაგებია?

– გასაგებია.

– რაც შეეხებათ დანარჩენებს, სახლიდან არ გახვიდეთ. ჯერემი სამ საათზე ადრე არ დაბრუნდება, მანამდე კი ერთად უნდა იყოთ სამზარეულოში. შენ კი, ჯეიკ, სტაილზს ხელი არ ახლო.

– არადა, ხელები მექავება, – დაიღრინა ტელიცკიმ.

– ვიცი, მაგრამ თავი შეიკავე, – დაარიგა კრამერმა, – ჯერემის წასვლის მერე მალე მეც წავალ და მის მოსვლას ტყის პირას დაველოდები, კარგად რომ გავჩხრიკო. თუ სროლის ხმა მოგესმათ, ამათ რაც გინდათ, ის უქენით, მერე კი აქედან მოუსვით.

– კრამერ, მე თქვენს ადგილზე სხვებზე აღარ ვიზრუნებდი და საკუთარ ტყავს გადავარჩენდი, – შენიშნა პიტერმა.

– საინტერესო იდეაა, – გაიღიმა კრამერმა.

– თქვენს ძმაკაცებს რომ ჭკუა ჰქონდეთ, აქედან მარტოს არც გაგიშვებდნენ. ტელიცკი კ.კ.–ს მიაჩერდა:

– ამაზე რას იტყვი?

– თუ ვინმეს ჩემთან წამოსვლა უნდა, წინააღმდეგი არ ვარ, – ცივად გაიღიმა კრამერმა,

– აქ დარჩენილებს ორი კაცი სავსებით ეყოფა.

– უკეთესი იქნება, თუ შენთან ერთად ორი წამოვა, – შენიშნა ბენ მარტინმა.

– თუნდაც ასე იყოს, – გაეცინა კრამერს.

პიტერს ბოლო იდეა განსაკუთრებით მოეწონა. თუ მხოლოდ ერთი დარაჯი ეყოლებათ, იქნებ რამე მოახერხონ? კრამერი ტრუდის მიუბრუნდა:

– შენ ჯორჯთან დარჩი.

– მე რა, მისი მომვლელი ვარ? – შეულრინა ჟღალთმიანმა.

– შეიძლება გონს მოვიდეს და ყვირილი ატეხოს. ვინმე გარეშემ რომ გაიგონოს, ხომ ხვდები, რაც მოხდება?

– ჯობია, ემილი დაუჯდეს, – გაჯიუტდა ტრუდი, – ავადმყოფების მოვლა მან ჩემზე უკეთესად იცის.

– ემილი აქ იქნება, თოფდამიზნებული. ეს გარანტიაა ჯერემის დასაბრუნებლად. მოხუცმა კუთხის კარადიდან ორი დიდი ჩანთა გამოიღო და ემილის მიუახლოვდა:

– მე დავბრუნდები, ძვირფასო.

– ვიცი, – ქალი მის სახეს შეეხო, კარგა ხნის მოუპარსავს.

– შენ თუ რამე მოგივა... – დაიწყო აღელვებული ხმით, მაგრამ ქალმა გააწყვეტინა:

– დაწყნარდი, საყვარელო, ჩვენ დაგელოდებით. მამაკაცი ქალს მოეხვია და ტუჩებზე ეამბორა, მერე კრამერს მიუბრუნდა:

– თუ რამეს უზამთ, ღმერთი დაგსჯით, თუ არადა...

– შენ რა, საფლავიდან წამოდგომას აპირებ? – ჩაიქირქილა კრამერმა, მერე დანარჩენებს გადახედა, – აბა, წავედით. გარეთ გასული კრამერი და მარტინი ჯერემის ძველი შევროლეს კაბინის უკანა მხარეს ჩაცუცქდნენ – აქ ისინი შეუმჩნეველი დარჩებოდნენ, მერე კი, ტყის პირას მანქანიდან გადავიდოდნენ და გზას ფეხით გააგრძელებდნენ.

* * *

ის იყო, შევროლეს ხმა მიწყდა, რომ ტელიცკი პიტერს მიუბრუნდა და ისე მიაშტერდა, თითქოს გაგლეჯას უპირებსო.

– ტრუდი, ჯორჯთან წადი, – უბრძანა დიუკ ლონგმა ჟღალთმიანს.

– მისმინე, დიუკ, არ მინდა, მთელი დღე მიცვალებულთან ვიჯდე.

– რაკი კ.კ.-მ გითხრა, უნდა წახვიდე.

– მაშინ... ჯერ ყავას დავლევ.

– კარგი. დაისხი და ჯორჯისკენ მოუსვი.

ტრუდი ღუმელთან მივიდა.

– ხელს დაგწვავს, – გააფრთხილა ემილიმ.

ტრუდიმ მაინც მოახერხა ფინჯანში ყავის დასხმა და ჩაიბუზღუნა:

– არ მესმის, იმ იდიოტთან გამუდმებით მე რატომ უნდა ვიჯდე?

– რომ გეუბნები, წადი! – დაუყვირა დიუკმა.

როცა ტრუდი სამზარეულოდან გავიდა, დიუკი დარჩენილ ტყვეებს მიუბრუნდა:

– წყნარად იჯექით და არაფერი მოგივათ.

– დიუკ, ხომ არ დაგავიწყდა, ცალფეხა რომ ჩემია? – გამოსცრა ტელიცკიმ, მერე კი ლონგთან ერთად მაგიდის მეორე ბოლოში გადაჯდა.

პიტერმა ლინდას შეხედა. ქალიშვილი თავისი პროფილით ანტიკურ ქანდაკებას ჰგავდა: სწორი ცხვირი, ზომიერი შუბლი, გამომეტყველება, ნაცრისფერი თვალები. ის კი საბრალო, ცალფეხა ხეიბარი იყო.

– საწყალი ჯერემი, – ჩამოწოლილი სიჩუმე ემილიმ დაარღვია, – მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა, ახლა კი? ვინ იფიქრებდა, ასეთი მწარე სიბერე თუ ელოდა? ისე, მე რომ არ ვყავდე, რამეს მოიფიქრებდა.

– მაინც რას? – შეეკითხა ლინდა.

– არ ვიცი, მე კი მას არჩევანის საშუალება წავართვი.

- მშურს თქვენი.
- მართლა?
- თქვენ ისე გიყვართ ერთმანეთი.
- თქვენ არავინ გყვარებით? – შეეკითხა ემილი.
- ის ვიეტნამში დაიღუპა.
- კიდევ კარგი, თორემ ახლა ხომ თქვენი დარდი მოკლავდა. ჯერემი ჩემზე დარდობს, თავის თავზე კი არა.
- ემილი, თქვენ ისეთი მშვიდი ხართ...
- ქალმა ბანდიტებისკენ გაიხედა:
- აბა, ეს ნაძირლები გავახარო? ისინი ხომ ჩვენს სიკვდილს ელოდებიან? არ ვიცი, დღევანდელ ახალგაზრდობას რა სჭირს. არავითარი მორალი, არავითარი ღირსება, თითქოს ყველაფერი დაკარგეს.
- ემილი, – ჩაერთო მათ საუბარში პიტერი, – როცა თქვენ პარიზში მენატრე იყავით, ალბათ უფროსები მაშინაც იგივე კითხვებს სვამდნენ, სად დაიკარგა ამ ახალგაზრდების ზნეობაო.
- ჩვენ არაფერს ვაშავებდით, – თავი გააქნია ემილიმ, – უბრალოდ, გვიყვარდა ერთმანეთი. ჯერემი ისეთი კაცი იყო, ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს. დღეს კი რა ხდება? ახალგაზრდობას მხოლოდ გარყვნილება და ძალადობა აინტერესებს. ისინი ადამიანებს ცოცხლად წვავენ და ამით სიამოვნებას იღებენ.
- მორჩით მანდ ლაყბობას! – ისროლა ტელიცკიმ.
- ბიჭიკო, შენ მე ვერ მასწავლი, რა ვთქვა და რა არა, – გაეპასუხა ემილი.
- მოკეტე–მეთქი!
- მე კი გავჩუმდები, მაგრამ ამით რა შეიცვლება? ადრე თქვენნაირები მეცოდებოდნენ, ალბათ უპატრონოდ გაიზარდნენ და ასეთები იმიტომ გამოვიდნენ–მეთქი. თურმე არა. ბევრი ობოლი გამიგია, კეთილშობილ კაცად რომ ქცეულა. ისე კი, საერთოდაც გაფუჭდა ხალხი. ალბათ წარღვნაა კარს მომდგარი, მერე კი ყველაფერი თავიდან დაიწყება.
- ამ წარღვნას წყალბადის ბომბი ჰქვია, – ჩაურთო პიტერმა, ემილიმ კი განაგრძო:
- ბიჭებო, ასეთები, როგორებიც ხართ, მე თქვენ არ მეცოდებით. აქ, ამ მთაზე მოკვდებით თუ სადმე სხვაგან, გაზის კამერაში, თქვენს სულებს ღმერთს არ შევავედრებ! – პათეტიკურად დაასრულა ემილიმ.
- ბრავო! – დიუკმა ტაში შემოჰკრა, – დედილო, თქვენი ადგილი სცენაზეა და არა სამზარეულოში. თქვენი მონოლოგი ნებისმიერ ვოდევილს დაამშვენებდა.
- რას ელადავები! – შეუღრინა ამფსონს ტელიცკიმ, – როცა დრო მოვა, მაგასაც მოვუგრებთ კისერს.
- ბიჭი, იქნებ შენ მოგეყოლა შენი მძიმე ბავშვობის შესახებ? – ცეცხლზე ნავთი გადაასხა პიტერმა.
- თქვენ... თქვენ... – ენა დაება ტელიცკის, – მხოლოდ ლაქლაქი იცით! მითხარით,

რომელმა სცადეთ სხვების გაჭირვების შემსუბუქება? თქვენ თქვენს ნაჭუჭში ხართ გამოკეტილი და იქიდან გვირჩევთ საქმეს! ჩვენ უკვე მოგვბეზრდა ასეთი ცხოვრება, გასაგებია? მე რომ ის ბომბი მქონდეს, კარგად ვიცი, რასაც ვიზამდი! ტელიცკი სკამიდან წამოხტა. პიტერმა იფიქრა, ახლა გვცემსო, მაგრამ გიგანტმა მაგიდაზე დადებულ თავის თოფს დასტაცა ხელი, ფანჯარასთან მივიდა და ბოლთის ცემა დაიწყო.

სამზარეულოში სიჩუმე ჩამოვარდა. პიტერმა საათს შეხედა. კრამერი და მარტინი უკვე ტყეში იქნებოდნენ, ჯერემი კი ბარჩესტერში.

ამათთან გონება არ გაჭრიდა, ამიტომ ძალისთვის ძალით უნდა გეპასუხა, მაგრამ როგორ?

* * *

მილი დასვრილ ჭურჭელს რეცხავდა, პიტერი კი აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს – ეს ქალი უშიშარი იყო, მას მხოლოდ ჯერემი ადარდებდა.

– არასოდეს მიფიქრია, რა არის გამბედაობა, – დაიჩურჩულა ლინდამ, – ზოგს ის აქვს, ზოგს არა.

– ჯერ არ ვიცი, წინ რა გველოდება, – შენიშნა პიტერმა.

– ეს უარესია, – თქვა ლინდამ, – ადამიანი ნებისმიერ ტანჯვას აიტანს, თუ იცის, რომ ამ ტანჯვას შვება მოჰყვება.

– ეს რელიგიის პოზიციაა. ჯოჯოხეთი დედამიწაზეა, სამოთხე კი იმქვეყნად.

– ვთქვათ, ამ ყველაფერს გადავიტან, – ლინდას ხმა ოდნავ გაუძლიერდა, – შევძლებ კი ჩემთან ისეთი წესიერი კაცის მოშვებას, როგორც...

– არ გინდათ, – შეაწყვეტინა პიტერმა.

– წიგნებსა და ფილმებში გამოსავალი ყოველთვის არსებობს. საწამლავი, დანა ან კიდევ სხვა რამ.

– ან ბოლო წამს შემოჭრილი მაშველები, – დაამატა პიტერმა.

– მართლა შემოიჭრებიან?

– არა მგონია.

– ო, ღმერთო! რა გვეშველება მაშინ?

– მაგაზე ნუ ფიქრობთ.

– აბა, რა ვქნათ? ბერნარდ შოუს პიესები გავარჩიოთ თუ პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკა გავაკრიტიკოთ? მე ხომ ბავშვი აღარ ვარ, პიტერ?

ჟურნალისტმა ცერად გახედა ლონგს. ის თვალს არ აცილებდა მოსაუბრეთ, ტელიცკი კი ისევ ბოლთას სცემდა, თითქოს ჯერემის დაბრუნება ეჩქარებაო, რომელიც სულ ერთი საათის წასული იყო.

– მახსოვს, ბავშვობაში გოგოები ვარჩევდით, რას ვიზამდით, თუ რომელიმე ბიჭი თავს დაგვესხმებოდა, – განაგრძო ლინდამ, – ეს მხოლოდ ვარაუდები იყო, გუშინ კი, ცხადში, მართლა საშინელება გადავიტანე.

– თუ გინდათ, მომიყევით, – შესთავაზა პიტერმა.

– ჯორჯი ნამდვილი გიჟია!

– მაგრამ თქვენ მას არ დანებდით.

– მე მხოლოდ ვლოცულობდი. სხვა რა შემეძლო?

– ქალაქში არ იციან, რა როგორ მოხდა.

– ღამით, ორის ნახევარზე, რაღაც ხმამ გამაღვიძა და პერანგისამარა საწოლიდან წამოვდექი. მერე ქვევით ჩასვლა გადავწყვიტე, რაც არაერთხელ მიქნია. აბა, რას ვიფიქრებდი, თუ იქ უცნობი მამაკაცი დამხვდებოდა? მოკლედ, ფეხშიშველი და პერანგისამარა ქვევით ჩავედი და მაღაზიის დარბაზში რომ შევედი, ვიტრინასთან ჩრდილი შევნიშნე, რომელიც მაშინვე გაქრა. პიტერ, ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ბუნებით მშიშარა არ ვარ.

– ეჭვი არ მეპარება.

– ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კარი გამოვალე და ზღურბლზე მდგარმა ის ტიპი დავინახე. ცხადია, შევკრთი, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და შევეკითხე: "აქ რა გინდათ?", თან თოფიც შევნიშნე იქვე დაგდებული. "უკაცრავად, მის, – მომიგო თავაზიანად, – ის გიტარა მინდა, ვიტრინაში რომ გაქვთ გამოდებული". "თუ გიტარა გაინტერესებთ, ხვალ მოდით, მაღაზია როცა გაიღება". მან მაჯაში მტაცა ხელი, თვალები კი გიჟივით უელავდა. უკვე შეშინებულმა სწრაფად ვუთხარი: "ხელი გამიშვით და გიტარა წაიღეთ, თუ ასე გინდათ". "თქვენც ჩემთან წამოდით", – თითქმის დამორცხვებით შემომთავაზა მან. "აბა, რას ამბობთ?" – შევეკითხე გაკვირვებით. "ჰო, წამოდით, ძალიან გთხოვთ", – ახლა უკვე მივხვდი, საქმე რომ შეშლილთან მქონდა და ჭკუით უნდა მოვქცეულიყავი. "ასე შიშველი?" "ჰო, ჰო, – შესძახა მან, – ასე უფრო მშვენიერი ხართ". პანიკატანილმა შეცდომა დავუშვი და თავის გათავისუფლება ვცადე, მან კი, როგორც ჩანს, კისერში მუშტი ჩამცხო და გონება დამაკარგინა. როცა გონს მოვედი, მაღალ ბალახებში ვიწექი, ის კი გვერდით მეჯდა და ხელს მისვამდა. მაშინვე ვიყვირე და წამოვიწიე, მან კი ერთი ხელი პირზე ამაფარა, მეორეთი კი მიწას მიმაკრა. "ნუ გეშინიათ, ცუდს არაფერს გიზამთ. ჩვენ ნაზად გვეყვარება ერთმანეთი. რა გქვიათ?". თავი წამოვწიე და მიმოვიხედე. ქალაქიდან ნამდვილად შორს ვიყავით, თითქმის მთის ძირში, მისი თოფი და გიტარა კი იქვე ეგდო, ბალახებში.

– სახელი უთხარით?

– აბა, რა მექნა? მერე დავამატე, ჩემი გატაცებისთვის ციხე რომ ელოდა, თანაც დიდი ხნით, მაგრამ ის ისეთი შეშლილი მზერით დამცქეროდა, მგონი, არც არაფერი გაუგია ჩემი ნათქვამიდან. "მაღლა, მთაზე, მეგობრები მყავს, – ჩამჩურჩულებდა შეშლილი, – ჩვენ იქ მარტონი ვიქნებით და ბედნიერები". "არსადაც არ წამოვალ. ჯერ ხომ უნდა ჩავიცვა". "არა, – გაჯიუტდა ის, – ან თქვენი ნებით წამოხვალთ, ან ძალით წაგათრევთ". ძალაც აღარ მქონდა, რამე რომ მეთქვა. მან კი წელზე თოკი მომაბა, მეორე ბოლო თავად დაიმაგრა წელზე და ასე ამომათრია ამ სახლამდე. არა, ჯერ ჩემით მოვყვებოდი, მერე კი ღონე გამომეღია და ის მიმათრევდა.

– ლინდა, იცით, ამ დროს რომ ვიღაცამ დაგინახათ? – შეეკითხა პიტერი.

ქალიშვილს თვალები დაუმრგვალდა:

– დაგვინახა? ვინ დაგვინახა?

– აქაური ბიჭია, მაიკ მილერი, თავის შეყვარებულთან ერთად მჯდარა ბუჩქებში.

– მოლი დონაჰიუსთან ერთად?

– თქვენ საიდან იცით?

– ეს ვინ არ არის.

– დაგინახეს, როგორ მიგათრევდნენ მთისკენ.

– ო, ღმერთო! ეს რომ...

– ბიჭს სინდისმა მხოლოდ ნაშუადღევს შეაწუხა და საუტვორტთანაც მაშინ მივიდა. – მაიკმა თუ დამინახა, რატომ არ დამეხმარა?

– ჯერ ერთი, ჯორჯის თოფის შეემინდათ, მერე კიდევ, მოლის მამის აღშფოთების.

– წარმოუდგენელია!

– მაგრამ ფაქტია.

– ისე, სწორად მოქცეულან, – თქვა ლინდამ მცირე ხნის შემდეგ, – ჯორჯი მათ მოკლავდა.

– ხმაური რომ აეტეხათ, ჯორჯს შეიძლება თქვენც მოეკალით, ახლა კი ცოცხალი ხართ და საუბარიც შეგიძლიათ, – ოდნავ გაიღიმა პიტერმა, – ახლა მთავარი აქედან გაღწევაა, ოღონდ როგორ, ვერ ვხვდები.

– ვერც მე, – თავი გააქნია ლინდამ.

– აქ მოყვანის შემდეგ რა მოხდა?

– ჯერემის და ემილის დანახვაზე თვალებს არ დავუჯერე. მე ხომ მათ დიდი ხანია ვიცნობდი და ჯერემის რამდენიმე ტილოც კი გავუყიდე. თავიდან იმედი მომეცა, მერე კი მივხვდი, ისინიც რომ ჩემსავით ტყვეები იყვნენ. კრამერი ჯორჯს გაუბრაზდა, რადგან ძებნას დამიწყებდნენ და შეიძლებოდა ამ ბანდასაც წაწყდომოდნენ. "მე თავად დავბან", – შეუღრინა ჯორჯმა ემილის, რომელმაც ჩემი დაბანა მოინდომა. ამაზე კრამერმა ჩაიცინა: "ბიჭი მამაკაცი ხდება". მე კი შიშისაგან აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა. შველას ჯერემის ვეხვეწებოდი, მაგრამ, თავად უმწეოს, ჩემთვის რა უნდა ეშველა? რამე რომც ეღონა, თოფმომარჯვებული ბენი ემილის სიცოცხლეს გამოასალმებდა.

ლინდამ ამოიოხრა, მერე კი განაგრძო:

– მე, ასე ვთქვათ, ჯორჯის პერსონალური ტყვე ვიყავი და იმანაც თავის ოთახში ამიყვანა, რომელსაც სააბაზანო ესაზღვრება. ჯორჯმა საწოროზე დამაწვინა, მერე კი სველი პირსახოცი მოიტანა და თავიდან ფეხებამდე გამწმინდა. თან ჩამჩურჩულებდა: "ხომ ხედავთ, რა კარგად გექცევით? მე თქვენ მიყვარხართ და მინდა, თქვენც შემიყვაროთ. მუსიკა გიყვართ?" "მიყვარს", – მივუგე ნაძალადევად, რამე ხომ უნდა მეპასუხა? ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მან კომოდიდან გიტარა გადმოიღო, სკამზე ჩამოჯდა და ამღერდა. ძველი სიმღერები იყო – "მოლი მელონი", "ბლუთეილ

ფლავი" და რაღაც ამგვარები. ის მე მიმღეროდა, პიტერ, და ჩემს მოხიზვლას ცდილობდა! ბოლოს, ეტყობა, დაიღალა, გიტარა კომოდზე შემოდო და საწოლზე ჩამომიჯდა. "კარგად ვმღერი?" "ძალიან. მე მომეწონა", – ვცდილობდი, რაღაცეები მეთქვა და ამით დრო გამეწელა, დრო, რომელიც კარგს არაფერს მიქადდა. შემდეგ ის წამოდგა, ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა. მე კი ღმერთს ვეხვეწებოდი, აღარ დაბრუნებულიყო, მაგრამ მალე დაბრუნდა, ოღონდ არა ხელცარიელი – თან საღებავები, პომადა, რაღაც ლაქები და ფუნჯები მოიტანა. "თუ თქვენ არ მოგწონვართ, სხვას მოვეწონები", – ჩაილაპარაკა და სახის დახატვა დამიწყო. "გიჟია", – გავიფიქრე გულში და მის საქმიანობას არც შევწინააღმდეგებოვარ, რადგან ამას აზრი არ ჰქონდა. როცა ჩემს ხატვას მორჩა, ლოგინიდან წამომადგო და სააბაზანოში შემიყვანა. იქ დიდი სარკე ეკიდა და იმაში ჩამახედა. "ხომ ლამაზი ხართ, ჰა? ხომ მოგწონთ თქვენი თავი?" – მეკითხებოდა თან, მე კი ნამდვილ ეშმაკს ვგავდი. მერე უკან, ოთახში შემათრია და საწოლზე დამაგდო. თვალები დავხუჭე და საშინელების მოლოდინში გავილურსე. ამ დროს კარზე ბრახუნი ატყდა და ტელიცკის ხმაც გაისმა: "ჯორჯ, კრამერი გეძახით". ჯორჯმა კარი გააღო და შემოსულს უთხრა: "ეს გოგო წაიყვანე, მეც მალე მოვალ". უკვე ზღურბლზე მდგარმა უკან მივიხედე და რას ვხედავ, ჯორჯი საწოლზე დამხობილიყო და ბავშვივით ქვითინებდა. აი, ჩემი ამბავი. ლინდას ნაამბობმა დაღალა პიტერი. უეცრად კარის ღიობში ტრუდი გამოჩნდა: – ჯორჯი გონს მოდის, იქნებ ვინმემ... სათქმელი ვედარ დაამთავრა, მის უკან ისეთი შეყვირების ხმა გაისმა. ეს ჯორჯი იყო და ტკივილი აყვირებდა.

– ემილი, – მიუბრუნდა პიტერი ქალს, – რამე ტკივილგამაყუჩებელი ხომ არ გაქვთ? ემილიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. ჯორჯმა ისევ დაიყვირა.

– ზედმეტი ხმაური არ გვჭირდება, – ისროლა დიუკმა და თოფი შეათამაშა, – იქნებ მაგ ბიჭს ამ ბებერმა მიხედოს? – და ემილის შეხედა.

ლინდა წამოდგა და გარეთ გასულ ემილის თან მიჰყვა, ტრუდი კი სამზარეულოში დარჩა.

– მგონი, აციებს, – თქვა მან, – თან ლინდა, ლინდაო, გაიძახის.

– შეყვარებულია, – ჩაიციხა ტელიცკიმ, მერე კი მოიღუშა, – არ მომწონს ეს ყველაფერი. კ.კ. რომ მართლა აგვეთესოს, რა ვქნათ?

– ბენს ვერ გაექცევა, – შენიშნა ტრუდიმ და დაამატა, – ყველას თოფები გაქვთ, მე კი არა. თავი როგორ დავიცვა? ახლავე მომეცით!

ტელიცკის გაეცინა:

– მერე სროლა იცი?

* * *

– რამეს მოვახერხებ, – ესროლა ტრუდიმ, – თავი ხომ უნდა დავიცვა?

ტრუდი პიტერს მიუბრუნდა:

– ყავა მოგიტანო?

– არა, გმადლობთ. იქნებ თავად შევძლო.

ჟურნალისტი ეტლის ბორბლებს შეეხო და მაგიდისკენ გაგორდა.

– საით? – დაიძაბა ტელიცკი.

– ყავის დასალევად, – მიუგო პიტერმა.

– დალიე და უკანვე დაბრუნდი.

– აუცილებლად, – პიტერმა საათს შეხედა: ჯერემის დაბრუნებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო.

ემილი პიტერს მიუახლოვდა და ყავა დაუსხა:

– რა უცნაური ყოფილა ეს ქალიშვილი.

– ლინდას გულისხმობთ?

– მაშ, ვის?

– მისი მონაყოლი მოისმინეთ?

ემილიმ თავი დააქნია, მერე კი ხმას დაუწია:

– მე და ჯერემი რომ ამ ავაზაკებთან დავრჩეთ, ლინდას გაყვანას შეძლებთ?

– რას გულისხმობთ?

– ჩვენ ჩვენი დრო უკვე მოვჭამეთ. ასეთი შანსი ახლა თქვენ და ლინდას უნდა მოგეცეთ.

პიტერმა ბანდიტებისკენ გაიხედა:

– ამას იარაღი დასჭირდება. იცით, სად ინახავენ?

– მეორე სართულზე, სამინებელშია ჩაკეტილი, გასაღები კი კრამერს აქვს.

– კარს ვერ შევამტვრევთ?

– მუხისაა. სეიფია ნამდვილი.

– თქვენ, ეი! – იყვირა დიუკმა, – ან გაჩუმდით, ან ხმამალა ილაპარაკეთ, ჩვენც რომ გავიგონოთ!

ახლა პიტერი ეტლში გაუნძრევლად იჯდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ ჩაეგდოთ ხელში სამინებლის გასაღები, მაგრამ თავში არაფერი მოსდიოდა.

– მოხუცმა 10 წუთით დაიგვიანა, – ჩაილაპარაკა ტელიცკიმ.

– ეგ არაფერი, – მხრები აიჩეჩა დიუკმა.

– იქნებ კრამერმა და მარტინმა შორს წაყვანა სთხოვეს? – ივარაუდა პიტერმა.

– შეიძლება, – დაეთანხმა ტელიცკი, – მოხუცის მანქანას არავინ შეამოწმებდა. თუმცა მაინც წავალ და ვნახავ, რა ხდება.

– არა, აქ დარჩები, – ესროლა დიუკმა, – ათი წუთისათვის ნუ გაგიჟდები. შენ კი, მოხუცო, – მიუბრუნდა პიტერს, – ჩუმად იყავი!

სამზარეულოში ტრუდი შემოიჭრა სახელაწილი და ბანდიტებს ხმადაბლა საუბარი გაუბა. "ერთმანეთსაც არ ენდობიან – გაიფიქრა პიტერმა, – ეს მათი სისუსტეა, მაგრამ როგორ გამოვიყენოთ?"

პიტერმა შენიშნა, რომ ტელიცკი საცაა იფეთქებდა და ასეც მოხდა:

– მგონი, გვაჭამა ამ ბებერმა!

– იქნებ მოტორი გაუფუჭდა? – ივარაუდა დიუკმა.
– ჩვენლა რომ დავრჩეთ, რა უნდა ვქნათ?
– ამ ტიპებს ჩავაძაღლებთ, მერე კი იარაღის ოთახში გავმაგრდებით და ბოლო ტყვიამდე შევებრძოლებით.
– იქ ვერ შევალთ, რადგან გასადები კ.კ.–ს აქვს, – ბრაზით ჩაილაპარაკა ტელიცკიმ.
– ორიოდ სროლით კლიტეს გავტეხთ.
– მერე ჯორჯი?
– მაგას ველარ ვუშველით, – მიუგო დიუკმა, – ჯეიკ, ტყუილად შფოთავ. ის ბებერი თავის ლამაზმანს ჩვენთან არ დატოვებს.
– მოტორის ხმა მესმის! – იყვირა უცებ ტრუდიმ.
ყველანი ფანჯარას მისცვივდნენ, ცხადია, პიტერის გარდა.
– როგორ გვანერვიულა ამ ვირიშვილმა, – ჩაიციხა ტელიცკიმ.
– მართო არ არის! – იყვირა დიუკმა, – მასთან ერთად პოლიციელები არიან. ჩაგვიშვა, დამპაღმა! – ამ სიტყვებით დიუკმა თოფის ლულა ჯერ პიტერს მიუშვირა, მერე კი ემილის.
* * *

ერემიმ შევროლე სახლის სიახლოვეს გააჩერა. ის, საუტკორტი და მისი ორი თანაშემწე მანქანიდან გადმოვიდნენ, ჯერემიმ კი ხმამაღლა დაიძახა:

– ემილი, სტუმრები გვყავს!
ტელიცკიმ თოფი ასწია და ჯერემის დაუმიზნა.
– მოიცა, – შეაჩერა პიტერმა, – ვერ ხედავ, მოხუცი რომ ჩვენს გაფრთხილებას ცდილობს? ეტყობა, მათ გზად გადაეყარა და წამოყვანაზე უარი ვერ უთხრა. იქნებ ყავის დაღვევა უნდათ და სხვა არაფერი? ან სულაც მოსწყურდათ?
– ემილი! სად ხარ? – ყვიროდა ჯერემი, თან დროის გასაწელად სტუმრებს ყვავილებს ათვალერებინებდა.
– სტაილზი მართალია, – თქვა დიუკმა, – მოხუცი დამალვის შანსს გვაძლევს, ამიტომ ყველანი ჯორჯის ოთახში უნდა შევიდეთ.
– ემილის გარდა, – ჩაურთო პიტერმა, – ის თუ სტუმრებს არ შეეგებება, შეიძლება რამე იეჭვონ.
– არა! – გაჯიუტდა ტელიცკი, – ყველანი აგვეთესებიან!
– კრამერი და მარტინი ამას არ დაუშვებენ, – შეახსენა პიტერმა, – მოკლედ, ემილი უნდა გაუშვა.
– ჰო, წავიდეს, – ჩაერია დიუკი, – ჩვენ კი ამ ოთახში დავიძალოთ.
ემილი გარეთ გავიდა, დანარჩენები კი პატარა ოთახში შეიყუჟნენ.
– რა ხდება? – იკითხა ჯორჯის საწოლზე ჩამომჯდარმა ლინდამ.
– ჯერემიმ სტუმრები მოიყვანა, – აუხსნა პიტერმა, – მათ წასვლამდე აქ უნდა დავიძალოთ.
– ემილი?

– ემილი სტუმრებს შეეგება, რამე ეჭვი რომ არ გაუჩნდეთ.

ყველა გაილურსა. ტელიცკი ჯორჯის სასთუმალთან ჩამოჯდა და ზიზღით დააცქერდა კოლეგას, პიტერი კი კვლავ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეღწიათ თავი ამ ჯოჯოხეთიდან.

თუ ოთახში მყოფები ჩუმად იქნებოდნენ და თავს არაფრით გასცემდნენ, დაუპატიჟებელი სტუმრები მალე დატოვებდნენ აქაურობას, ხოლო თუ ტელიცკი და დიუკი ხმაურს ატეხდნენ, სახლში ბევრი სისხლი დაიღვრებოდა.

ანაზღად ჯორჯი აკვნესდა.

– ჯეიკ, თავზე საბანი დააფარე, – ჩურჩულით უბრძანა დიუკმა.

ტელიცკი ასეც მოიქცა და მალე ჯორჯმა კვნესა შეწყვიტა.

– ხუთ წუთში ყავას მოგიმზადებთ, – მოისმა სამზარეულოდან ემილის ხმა.

– დიდი მადლობა, – მიუგო საუტვორტმა, სკამზე მოკალათდა და ამოიხვნეშა, – ამ ძეხნამ ისე დამღალა, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

– ყველა დავიღალეთ, – ეს ხმა პიტერმა ვერ იცნო.

მან დიუკს შეხედა. ამ უკანასკნელს თავისი თოფი ლინდასთვის მიეშვირა, ტელიცკი კი ჯორჯს სახეზე საბანს აჭერდა, თან ყურები დაეცქვიტა, სამზარეულოდან მომავალი ხმები რომ გაეგონა. შემინებული ლინდა პიტერს მისჩერებოდა და მხოლოდ შეჭიკჭიკებული ტრუდი გრძნობდა თავს არხეინად.

– ეტყობა, იმ ტიპმა ლინდა სადღაც შორს წაიყვანა, – თქვა ჯერემიმ.

– უფრო მოკლა, თავად კი გაიქცა, – შენიშნა საუტვორტმა, – არადა, ტყეში გვამის პოვნა ძალიან ძნელია.

– მაიკ მილერის აღწერით მკვლელს ვერ იპოვით?

– ვერა, – საუტვორტს გაეცინა, – გმადლობთ, ემილი. კარგი ყავა იყო.

– ჯერემი, სიგარეტებზე როდის გადახვედი? – იკითხა უცებ საუტვორტმა, პიტერს კი თვალწინ მაშინვე ნამწვებით სავსე საფერფლე წამოუტივტივდა.

– კაცია და გუნება, – ჩაილაპარაკა ჯერემიმ.

– მისტერ ტომას, ყავაში რძე ხომ არ ჩაგიმატოთ? – შესთავაზა ემილიმ.

– არა, გმადლობთ, – მიუგო პიტერისათვის უცნობმა მისტერ ტომასმა.

– ჯერემი, ცუდია, ტელეფონი რომ არ გაქვთ, – შენიშნა საუტვორტმა, – შტაბ-ბინას აქ გადმოვიტანდით.

– ეს სპეციალურადაა, – მიუგო ჯერემიმ, – ემილის რომ მეზობლებთან ლაქლაქით არ შევეწუხებინე.

ამ სიტყვებზე ყველას თავაზიანად გაეცინა.

– მისტერ საუტვორტ, წასაღებად სენდვიჩები ხომ არ მოგიმზადოთ? – ემილის სტუმართმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა.

– გმადლობთ, არ გვაწყენდა.

პატარა ოთახში კი ყველა დამაბული და გატრუნული იყო.

– ერთი რამ არ მესმის, – თქვა ტომასმა, – იმ ბიჭმა წასაყვანად რაღა ლინდა შეარჩია?

– ლინდას მაღაზიის ვიტრინაში გიტარა მოეწონა და იმიტომ, – მიუგო ემილიმ, – მისტერ საუტვორტ, ლორი და ყველი საკმარისი იყო?

– ჰო, რა თქმა უნდა.

"რა მსახიობი ყოფილა ეს ემილი, – გაიფიქრა პიტერმა, – წესით, მალე უნდა დაიშალონ".

– სენდვიჩები ისე შეგიხვით, სადამომდე ახალივით იქნება, – თქვა ემილიმ.

– მართლა, ერნი, – დაიწყო ჯერემიმ, – ის ჟურნალისტი სად არის, თქვენთან ერთად რომ იყო?

– აქედან გაემგზავრა. ისე კი, თავისი პროთეზიანი ფეხით რას დაგვეხმარებოდა?

– ესეც თქვენი სენდვიჩებიანი პარკი, – თქვა ემილიმ.

– გმადლობთ, ემილი, – მიუგო ტომასმა, – ახლა კი ჩვენი წასვლის დროა.

– გმადლობთ თქვენ, რომ შემოგვიარეთ, – ემილი უკვე როლში იყო შეჭრილი.

– მისმინეთ, ჯერემი, – დაიწყო საუტვორტმა, – იქნებ გამოგვეყვით და ჩრდილოეთის ფერდობისკენ მიმავალი მოკლე გზა მიგვასწავლოთ?

– სიამოვნებით...

ის იყო, სტუმრების ნაბიჯები მიწყდა, რომ...

– გამოდით, – მოესმათ ოთახში მყოფთ ემილის მშვიდი ხმა.

პირველი სამზარეულოში თოფმომარჯვებული ტელიცკი გავარდა, მერე კი დანარჩენებიც მიჰყვნენ.

– ყოჩაღ, დედილო, – შეაქო ემილი დიუკმა, – მაგარი ნერვები გქონია. რაც შეეხება ჯერემის, ისიც კარგად მოიქცა.

– მისთვისვე იქნება უკეთესი, თუ ყოველთვის ჭკუით მოიქცევა, – დაიხრიალა ტელიცკიმ.

პიტერმა ეტლი ლინდასთან მიაგორა და ხელზე ხელი წაავლო:

– როგორ ხართ?

– ძალიან შემეშინდა. ერთი რომ დამეყვირა, ერნი ყველას ამოხოცავდა.

– არც ჩვენ დაგვადგებოდა კარგი დღე, – შენიშნა პიტერმა.

– მაგიტომაც შევიკავე თავი, უფრო კი ჩვენ ორზე ვფიქრობდი.

– არადა ვერაფერი მოვიფიქრეთ.

ამ დროს სამზარეულოში კრამერი და მარტინი შემოიჭრნენ.

– რა ხდება? ჯერემი სად არის?

– სტუმრები გააცილა, – ჩაიცინა ტელიცკიმ.

– ახლა რა ვქნათ? – იკითხა დიუკმა.

– ჯერემის დაველოდოთ და ვნახოთ, რას გვეტყვის, – მიუგო კრამერმა, – ჯორჯი როგორ არის?

– მგონი, მოკვდა კიდევ, – მიუგო ტელიცკიმ, – ბოლოს რომ შევხედე, აღარც ინძრეოდა.

– კარლ, – დაიწყო დიუკმა, – ისინი მხოლოდ ჯორჯსა და იმ გოგოს ეძებენ,

დანარჩენები არც უხსენებიათ.

– ამაზე ჯერემის უნდა ველაპარაკო, – თქვა კრამერმა და ემილის მიუბრუნდა, – დედილო, ყავა გვაქვს?

– თავად დაისხი, – ქალმა ზურგი აქცია ბანდიტს.

კრამერმა ყავა დალია, მერე სიგარეტი გააბოლა და ამფსონებს მიმართა:

– მე და ბენმა სიტუაცია გავაანალიზეთ. რაკი მათ არ იციან, რომ აქ ვართ...

– ჰო, არ ვუხსენებთ, – გაიმეორა დიუკმა.

– მოკლედ, თუ ისინი ჯორჯისა და ლინდას გვამებს იპოვიან, ძებნას შეწყვეტენ, აქედან წავლენ და გზა ჩვენც ხსნილი გვექნება.

პიტერს გააჟრჟოლა. ბანდის მეთაურის ნათქვამი საოცრად მარტივი და შემზარავი იყო. მკვდარი ჯორჯი და ლინდა მართლა ხსნა იყო ბანდიტებისათვის.

– ჯორჯი უკვე მკვდარია! – შეცვლილი ხმით წარმოთქვა ლინდამ და ტელიცკის შეაცქერდა, – ის შენ მოგუდე, ჯეიკ!

* * *

ორჯის სიკვდილი ემილიმ დაადასტურა, რაც ბანდიტების გარდა ყველასათვის მოულოდნელი იყო.

ამასობაში ჯერემი დაბრუნდა და იქ მყოფთ რომ შეხედა, იკითხა:

– რა მოხდა?

– გამოსავალი ვიპოვეთ, ჯერემი, – ჩაიცინა კრამერმა.

– ჯორჯი ტელიცკიმ დაახრჩო, ერნის აქ ყოფნაში რომ არ ეკვნესა, – აუხსნა ემილიმ, – კრამერი კი თვლის, რომ ჯორჯის და ლინდას სიკვდილი გამოსავალია მათთვის, რადგან ქალაქელები მხოლოდ ამ ორს ეძებენ... – ემილი შეტრიალდა და დაამატა, – მაგრამ ძალიან ცდება.

– რატომ, დედილო? – ჩაიცინა კრამერმა, – მერე თქვენც ზედ მიგაყოლებთ და ხელს ვინდა შეგვიშლის?

ემილიმ კრამერს შეხედა:

– გგონიათ, დაუსჯელად წახვალთ?

– რატომაც არა?

– ძალიან ცდებით, – განაგრძო ემილიმ, – ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ მოგვკლავდით, ამიტომ ზომებიც წინასწარ მივიღეთ.

– რა ზომები? – ბანდიტები ემილის მიაჩერდნენ.

– ჩვენს მოკვლაში ხელს ვერ შევიშლით, მაგრამ ჩვენი სიკვდილის მერე აუცილებლად მოგაგნებენ.

კრამერმა ემილისკენ ისკუპა და თავისკენ შემოაბრუნა:

– რანაირად, ბებრუხანავ?

– როცა ჯერემი ქალაქში იყო, ქალაქზე ჩამოწერა თქვენი გარეგნული ნიშნები და ისიც, თუ რა ბანდიტურ საქმიანობას ეწეოდით. ახლა ეს ქალაქი კონვერტშია ჩადებული და ბანკში ინახება მისტერ სვენსონთან, რომელიც კონვერტს მაშინ

გახსნის, თუ ჯერემის რამე მოუვა. ასე რომ, ბიჭებო, შეგიძლიათ ახლავე დაგვხოცოთ, მაგრამ სამაგიერო მაინც არ აგცდებათ.

– მართალს ამბობს? – მიუბრუნდა კრამერი ჯერემის.

მოხუცმა თავი დააქნია, თუმცა არაფერი უთქვამს.

– შენ კი თქვი, არაფერი გვემუქრებაო, – ნიშნის მოგებით შეხედა ტელიცკიმ კრამერს.

– განა ეს ასეთი არსებითია? – თქვა კრამერმა თითქოს თავისთვის.

– მერე როგორი არსებითი, – ჩაერთო პიტერი, – პოლიციას ეცოდინება, ვინ უნდა ეძებოს.

– ადრე თუ გვიან მაინც გაიგებდნენ, – შენიშნა ემილიმ.

– ჰო, მაგრამ ახლა ძალიან გაუადვილდებათ.

– კარლ, იქნებ ამ მოხუცს ეს ქალღმერთი უკან გამოვატანინოთ? – დიუკი თვალებით ხან ჯერემის ბურღავდა, ხანაც ემილის, – ცოტა მონდომება და მგონი, იმ ქალღმერთის მოსატანად ახლავე გაიქცეს.

– ან მისი ასლის, – ჩაურთო პიტერმა.

– შენ ჩუმი იყავი, მოხუცო, – ურჩია კრამერმა.

"ახლა დაიწყება, – გაიფიქრა პიტერმა და ერთიანად დაიძაბა, – ეს ბანდიტები როგორმე უნდა შევაჩერო".

ჟურნალისტს ემილიც უნდა დაეცვა და ლინდაც, მაგრამ როგორ?

პასუხი თავისით მოვიდა. ბანდიტებზე პირდაპირი შეტევა საპასუხო რეაქციას, ანუ სროლას გამოიწვევდა, რასაც ტყეში მყოფებიც გაიგონებდნენ და ალბათ მიაშურებდნენ კიდევ მთაზე მდგარ სახლს, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა. პიტერს თავისი იდეა სხვებთანაც უნდა შეეთანხმებინა, მაგრამ დრო აღარ ითმენდა.

ჩანაფიქრის შესრულება ისევ დიუკმა დააჩქარებინა:

– აბა, ვნახოთ ერთი, რა ნერვები აქვს შენს მხატვარს, – დიუკმა დანა მოიმარჯვა და ემილის მიუახლოვდა.

– არა! – იყვირა ჯერემიმ, – ეს არ ქნათ! მე...

პიტერმა აღარ დააყოვნა, ეტლს მთელი ძალით უბიძგა და დიუკს უკნიდან დააჯახა.

ბანდიტი შეტორტმანდა, დანა ხელიდან გაუვარდა, თავად კი ჟურნალისტის მუხლებზე აღმოჩნდა. ამ უკანასკნელმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ბანდიტს ხელები კისერში წაუჭირა. სულ მალე დიუკმა სუნთქვა შეწყვიტა და პიტერის მუხლებიდან იატაკზე ჩაცურდა.

ამ დროს პიტერისკენ მუშტებმომარჯვებული ტელიცკი დაიდრა, მაგრამ დარტყმა ვეღარ მოასწრო, რადგან ბოლო მომენტში თავში ემილის მოქნეული ცეცხლის საჩხრეკი რკინის კეტი მოხვდა, დაარეტიანა და ძირს დასცა.

აქ პიტერმა დაინახა, როგორ ასწია თოფი კრამერმა. ჯერემი ქალებს გადაეფარა. კ.კ.–ს ნასროლი ტყვიაც სწორედ მას მოხვდა და შეატორტმანა. ემილიმ შეჰკვივლა...

პიტერმა მარტინს მოჰკრა თვალი, მაგიდასთან სასროლად მოხერხებულ პოზიციას რომ ეძებდა. ამ დროს ისევ გაისმა სროლის ხმა და მარტინმა ყელზე იტაცა ხელი. მერე

მესამე, მეოთხე, მეხუთე გასროლაც გაისმა და მარტინი კერამიკის იატაკზე ჩაიკეცა. პიტერი შემოტრიალდა. მაგიდასთან ლინდა იდგა და დიუკის თოფი მოემარჯვებინა. – ჯეიკ! – კრამერი ტელიცკის მივარდა, ფეხზე წამოაყენა, მხარში შეუდგა და კარისკენ წაიყვანა.

პიტერი ამ უცნაური საქციელის მიზეზს მაშინვე მიხვდა: ოთხზე დამხობილ ჯერემის ტელიცკის ძირს დაგდებული თოფი ხელში ეჭირა და ბანდის მეთაურს უმიზნებდა. ის იყო, ის ორნი კარს მოეფარნენ და მიიხურეს, რომ იქაურობა ზედ მოხვედრილი ტყვიების კაკანმა გააყრუა, მოხუცი კი თავდადმა დაეცა...

სამზარეულო ბრძოლის ველს ჰგავდა. დიუკი და მარტინი უსულოდ ეყარნენ ძირს, ჯერემი კი დაჭრილი იყო. ძირს იჯდა ტრუდიც და ისტერიკულად იცინოდა. "ნეტავ, კრამერი და ტელიცკი რას აპირებენ?" – გაიფიქრა პიტერმა და მეუღლესთან ჩამუხლულ ემილის შეეკითხა:

– ცოცხალია?

– ჰო, მაგრამ ტყვია შიგა აქვს.

– აქ დარჩენა არ შეიძლება. ჯერემი უკანა ოთახში უნდა გავიყვანოთ. ლინდა, ტრუდი, აქ მოდით და ემილის მოეხმარეთ. ხომ ხედავთ, მე არ შემიძლია!

ლინდა გახევებული იდგა და ისე მიშტერებოდა პიტერს, თითქოს პირველად ხედავდა.

– გაინძერით–მეთქი! არ გესმით? – გაუმეორა პიტერმა.

– გთხოვთ! – აღმოხდა ემილის.

ლინდა გამოერკვა, ქალთან მივიდა და დაჭრილის უკანა ოთახში გაყვანაში მიეხმარა, ტრუდი კი ისევ ძირს იჯდა და უაზროდ იცინოდა.

პიტერი ეტლიდან გადაიხარა, დიუკის ტყავის პიჯაკი მოქექა და იქიდან რვა ცალი ტყვია ამოაძვრინა. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა. დატყვევებულებს იარაღი ჰქონდათ, ცოტა, მაგრამ მაინც.

პიტერი, ახლა უკვე მუხლებზე ორი თოფით (მეორე ტელიცკის იყო და იატაკიდან აიღო), უკანა ოთახისკენ დაიძრა. ტრუდიც როგორღაც წამოდგა და მას გაჰყვა. პატარა ოთახი, სადაც ჯერემი მოათავსეს, ფაქტობრივად ხაფანგი იყო, რადგან მისი ერთადერთი კარი სამზარეულოში გადიოდა, შიგნიდან კი არ იკეტებოდა.

ემილის და ლინდას ჯორჯის გვამი იატაკზე გადაესვენებინათ, მის ადგილზე კი ჯერემი იწვა და კვნესოდა. ახლა ემილი მის გვერდით იჯდა და ნატყვიარს უსინჯავდა.

– ბინტი მჭირდება, – თავი ასწია ქალმა.

– იქ გასვლა საშიშია, – შენიშნა პიტერმა, – ჩემს პერანგს მოგცემთ, – და ასეც მოიქცა.

– სროლის ხმა თუ გაიგონეს, ხომ მოგვეშველებიან? – იკითხა ლინდამ, რომელიც დაჭრილისკენ გადახრილიყო და ემილის ეხმარებოდა.

– აბა, რა ვიცი, – მიუგო პიტერმა, – სამზარეულო მიწის დაბლაა და შეიძლება ვერც გაიგონეს.

– კი მაგრამ, ფანჯრები ხომ მაღლაა?

– ჰო, მაგრამ... მოკლედ, მოვრჩეთ მარჩიელობას და დაჭრილს მივხედოთ. ჯერემის სიცოცხლე ახლა ჩვენს ხელშია, – პიტერმა დიუკის ვინჩესტერი აიღო და ხელში შეათამაშა.

– არც კი მჯერა, მარტინი რომ მოვკალი, – მძიმე ხმით წარმოთქვა ლინდამ.

– შესანიშნავი იყავით, – შეაქო პიტერმა.

– მარტინი რომ ჩემკენ წამოსულიყო, სროლას ვერც გავბედავდი. პიტერ, ეს ხომ ჩემი პირველი გასროლა იყო!

– თქვენ რომ არა, ახლა ცოცხლები აღარ ვიქნებოდით.

– საინტერესოა, ახლა რას აკეთებენ? – იკითხა ლინდამ.

– ალბათ ახალი თოფები აიღეს და ბოლო სართულზე ან სახურავზე ავიდნენ, დაუპატიჟებელი სტუმრები რომ ადრევე დაინახონ.

– თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ?

– მაშინ აქ დაბრუნდებიან.

– რისთვის? ჯერემი ხომ დაჭრილია და ბანკში ვეღარ წავა, წერილი რომ მოიტანოს?

– წერილი არ არსებობს, – თქვა პიტერმა, – ემილიმ გამოიგონა.

– სხვა რა გზა მქონდა? – დაემოწმა ემილი, – მე ხომ მათი შეშინება მინდოდა.

– რომ გაიქცნენ? – იკითხა ლინდამ.

– მაგას დადამებამდე ვერ გავბედავენ, – აუხსნა პიტერმა, – თანაც ჩვენ ორი თოფი გვაქვს და შეიძლება წინააღმდეგობაც გავუწიოთ.

– მერე ტყვიები?

– ტყვიებიც გვაქვს, ოღონდ მხოლოდ რვა. ვინმე რომ მაღლა ავიდეს და ფანჯრიდან გაისროლოს, ტყეში გაიგონებენ და აქ მოვლენ. კრამერი და ტელიცკი ახლა სწორედ ამაზე ფიქრობენ.

სამივე საქმეზე მსჯელობდა, ტრუდი კი ხან იცინოდა, ხან კიდევ ტიროდა თითქოს. ლინდა მასთან მივიდა და მკაცრად უთხრა:

– ახლავე გაჩუმდით!

რაკი ტრუდიზე ამან არ იმოქმედა, ლინდამ ხელი გაშალა და აბეზარ ჟღალთმიანს სახეში ლეწა.

სილამ იმოქმედა, ტრუდი გაჩუმდა და შეშინებულმა ახედა ლინდას.

– ასე არ ჯობია? – თქვა ამ უკანასკნელმა, – ახლა კარგად გავიგონებთ, კარს მიღმა რაც ხდება.

მაგრამ სამზარეულოს მხრიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, რადგან კერამიკის იატაკი ხმას ცუდად ატარებდა. ოთახის სიჩუმეს მხოლოდ ჯერემის მძიმე სუნთქვა არღვევდა.

ემილიმ ამოიოხრა და ჯერემის გაუპარსავ სახეზე მიუალერსა:

– ძვირფასო! ვაი, რომ საშველი არსაიდან ჩანს!

პიტერმა საათს შეხედა. დადამებამდე ჯერ ისევ შორს იყო, დაახლოებით რვა საათი.

სიბნელე ორივე მხარეს აწყობდა – მათაც და კრამერ–ტელიცკის წყვილსაც, მხოლოდ

ჯერემისა და ემილისათვის იყო სულ ერთი, დღე იქნებოდა თუ ღამე.

სამზარეულოს ონკანიდან წყალი წვეთავდა. საერთო სიჩუმეს ეს ხმაც არღვევდა.

– ახლა მხოლოდ ქმინავს, – თქვა ემილიმ, – როცა გამოფხიზლდება, ტკივილს მერე იგრძნობს.

– ჯერემი რომ არა, ახლა იმქვეყნად ვიქნებოდით, – შენიშნა პიტერმა.

წყალი ისევ წვეთავდა.

– მამაცი ყოფილა, – განაგრძო პიტერმა, – ყველა ასე ვერ მოიქცეოდა. ომში სულ სხვაა.

ბრძოლა რომ იწყება, გინდა თუ არა, მამაცი უნდა გახდე.

– პარიზში რომ ვცხოვრობდით, არც მხიარულება გვაკლდა და არც მეგობრები, – თქვა ემილიმ, – ჯერემი ისეთი ძლიერი იყო, რას ვიფიქრებდი, ასეთი რამე თუ მოუვიდოდა. მას სიკვდილის არ ეშინოდა. უბრალოდ, ჩემ გამო განიცდიდა. ჩვენ სიკვდილს შეგუებულებიც კი ვიყავით. საქმე მხოლოდ დროში იყო, ადრე მოვკვდებოდით თუ გვიან.

ემილიმ წამით შეისვენა, მერე კი განაგრძო:

– იცით, ყოველთვის ვფიქრობდი, ეს ბანდიტები რას მიზამდნენ, ჯერემის რომ მათი ბრძანებების შესრულებაზე უარი ეთქვა. მე ლინდაზე გაცილებით უფროსი ვარ, ამიტომ არა მგონია, ჩემთან გართობა მოენდომებინათ. შეიძლება ვეწამებინე, ჯერემის ყვირილით რომ დამტკბარიყვნენ. მე რომ არა, ჯერემი თითოსაც არ გაანძრევდა და არც ტყვია მოხვდებოდა. პიტერ, ხომ ხვდებით, რასაც ვამბობ? მე ჯერემის გამო მეშინოდა, მას კი ჩემ გამო.

– ყველა ასეთი არ არის.

– ჰო, თუნდაც თქვენ... ხომ შეგეძლოთ გაქცევა, მაგრამ არ გაიქცით, რადგან ჩემი და ლინდას ბედი გალელვებდათ, არადა, მანამდე საერთოდ არც გვიცნობდით.

პიტერმა ნაძალადევად გაიღიმა:

– ეს იმიტომ, რომ კარგი ხალხი ხართ.

– კომპლიმენტისთვის გმადლობთ... ისე, ურიგო კაცი არც თქვენ ჩანხართ.

– ტყუილად ნუ მაქვთ, ემილი, თორემ გავწითლდები.

– პიტერ, საქმე იმაშია, რომ დღეს ადამიანები გაეგოსტდნენ და სხვები არ ადარდებთ. თუნდაც ეს სხვა ახლო მეგობარი იყოს. მაგალითად ეს ბანდიტები ავიღოთ. მათ ხომ სხვების ტანჯვა სიამოვნებთ კიდევ და ერთი სული აქვთ, როდის ამოგვხოცავენ, – ემილის ხმა აუთრთოლდა, – ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: თუ ჩემი ჯერემი ვერ გადარჩება, მე რაღა მინდა ამქვეყნად?

ოთახში აგრილდა. ემილიმ საბანი შეუსწორა ჯერემის და ამოიოხრა, სამზარეულოში კი ისევ წვეთავდა წყალი.

პიტერს აღელვებდა, ცალფეხა კაცი ორ შეიარაღებულ ბანდიტს რომ უნდა

გამკლავებოდა. მართალია, ორი თოფი და რვა ტყვია ჰქონდა, მაგრამ ამით რას

იზამდა?

საკმაო ფიქრის შემდეგ რაღაც აზრი დაებადა და გატაცებულ ქალიშვილს მიმართა:

– ლინდა, კედელს გაჰყევით და ფანჯრის შტორები ჩამოუშვით.

ლინდას არაფერი უთქვამს, ისე შეასრულა ჟურნალისტის ბრძანება, ჯერემიმ კი ისე დაიკვნესა, თითქოს ოთახში განათებულობის შეცვლამ მასზე ცუდად იმოქმედა.

– ახლა სამზარეულოშიც იგივეა გასაკეთებელი, – თქვა პიტერმა, – თან გარაჟის კარიც ჩასაკეტია.

– ის ავაზაკები რომ ჩასაფრებულები იყვნენ? – იკითხა ემილიმ.

– უნდა გავრისკოთ, – მიუგო პიტერმა, – ჩემი ვარაუდით, ჯერ ისევ მალლა არიან.

ემილი წამოდგა:

– მეც მოგეშველებით. ჯერემიმ სხვა სიკეთეებთან ერთად სროლაც მასწავლა. პიტერმა ერთი თოფი ქალს გაუწოდა, მერე კი თავად დაიტოვა.

– უმიზნოდ არ ისროლოთ, – გააფრთხილა თან, – ჩვენ მხოლოდ რვა ტყვია გვაქვს და არა მგონია, მარაგის შევსება შევძლოთ.

– ჩემთვის ერთ ბანდიტზე ერთი ტყვიაც კმარა, – მშვიდად მიუგო ემილიმ, –

დამიჯერეთ, პიტერ. თუ მათ საზიზღარ სიფათებს დავინახავ, ხელი არ

ამიკანკალდება. ისე, მარჯვენა კარადაში ბოთლში ბრენდია. თუ თან წამოიღებთ, ჯერემის გონზე მოსვლის შემდეგ ძალიან გამოადგება.

– შევეცდები, – შეჰპირდა პიტერი და ეტლით სამზარეულოში შეგორდა. კარგა დრო დასჭირდა, ვიდრე ფანჯრებზე ოთხივე შტორს ჩამოუშვებდა, მერე კი გარაჟის კარს ჩაკეტავდა, რადგან იატაკზე დაყრილი გვამები უშლიდა ხელს. ბოლოს ბრენდის ბოთლიც მოძებნა და უკანა სვლით დაბრუნდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თოფმომარჯვებული ემილი კართან იდგა და რამე საფრთხის შემთხვევაში აუცილებლად გაისვრიდა.

ოფლში გაწურულმა პიტერმა ბოთლი ემილის გაუწოდა:

– ქვევით ჩამოსვლა მხოლოდ იმ კიბით შეიძლება?

– ლიფტიც შეიძლება, ოღონდ საშინლად ჭრიალებს და იშვიათად ვხმარობთ, – მიუგო ემილიმ, – თან ერთი კაცი ეტევა მხოლოდ.

ლინდა პიტერთან მივიდა:

– სულ ვნერვიულობდი, რა მოხდებოდა, რომ არ დაბრუნებულიყავით.

პიტერმა ემილის გახედა:

– ისეთი დაცვა მყავდა, არაფერი მომივიდოდა.

– ნუ აჭარბებთ, პიტერ, – გაეპასუხა ემილი, – ისე, მართლა კარგად ვისვრი.

– ეჭვი არ მეპარება, – გაელიმა პიტერს.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, წყალი კი ისევ წვეთავდა.

პიტერი ფიქრს მისცემოდა. ნეტავ, რას შვრებოდა ახლა კრამერი? მეგობრების

სიკვდილს რომ არ ინანებდა, ცხადი იყო. გაუხარდებოდა კიდევ, რადგან ორის

გაქცევა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ყველასი ერთად. კრამერს შურისძიება არ

ამოდრავებდა და მხოლოდ საკუთარი თავი ანადვლებდა. სულ სხვა ტიპი იყო ტელიცკი, რომელსაც, რომ იტყვიან, სისხლი სწყუროდა და მზად იყო, ყველა მძევალი ერთიანად ამოეხოცა. ისე, მძევლების დახოცვაზე არც კრამერი იტყოდა უარს, ოღონდ თუ ამით საკუთარ თავს გადაირჩენდა.

ვიდრე დღე იყო, ბანდიტები ძნელად თუ გაბედავდნენ მათზე თავდასხმას, აი, მერე კი, როცა დადამდებოდა, ამგვარი საშიშროება ნამდვილად არსებობდა, თუმცა ამათ ცოტა იარაღი უკვე ჰქონდათ და შეეძლოთ, წინააღმდეგობა გაეწიათ. კრამერზე ფიქრმა ისე გაიტაცა პიტერი, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ დაჯდა ეტლთან იატაკზე ლინდა და მას მიეყრდნო, თითქოს შველას მისგან ელოდა. პიტერმა გაიღიმა და ქალიშვილს მხარზე დაადო ხელი. იმანაც ამოხედა და გაუღიმა:

– რაზე ფიქრობდით?

– კრამერის გონებაში მსურდა შეღწევა.

– მე კი მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ... ანუ იმაზე, ძველი ცოდვები რომ არ მქონოდა, იქნებ ასეთ დღეში არც ჩავვარდნილიყავი.

– რომელ ცოდვებზე მელაპარაკებით, ლინდა?

– იმათზე, რომლებიც არ ჩამიდენია, ან იქნებ ჩამიდენია კიდევ, მაგრამ ვერ მივმხვდარვარ.

– იქნებ მომიყვით, რა ცოდვებს გულისხმობთ?

– მე დანიშნული ვიყავი ფრედ უილობიზე.

– ეს დანაშაული არ არის.

– ფრედი კარგი ბიჭი იყო, კარგი ოჯახიდან.

– მით უკეთესი, – გაიღიმა პიტერმა.

– ჩვენ ერთად გავიზარდეთ, – განაგრძო ლინდამ, – სკოლაშიც ერთად დავდიოდით და სხვა წრეებზეც. მან პირველმა გამიწვია საცეკვაოდ. მერე მე "სმიტში" შევედი, ის კი "ამჰერსტში". ეს სასწავლებლები ახლოს იყო ერთმანეთთან და ჩვენ თითქმის ყოველ უიკენდზე ვხვდებოდით ერთმანეთს. ყველა ფიქრობდა, რომ დავქორწინდებოდით და ასე გვეგონა ჩვენც, თუმცა მაშინ ჩვენ შორის მხოლოდ მეგობრობა არსებობდა და არანაირი ლტოლვა... მოკლედ, მაშინ ცხოვრება მხოლოდ კარგს გვიქადდა.

– რასაც ჩემზე ვერ ვიტყვი, – ჩაუბრუნა პიტერმა, – აბა, ხეიბარს რა უნდა უხაროდეს?

– ეს მომავლის საქმეა, – თქვა ლინდამ და განაგრძო, – ჩვენ ერთმანეთს შეხვედრისას და განშორებისას ვკოცნიდით, როგორც ეს ნამდვილ მეგობრებში მოდის. სხვა მხრივ ჩვენი ურთიერთობა სრულიად უმწიკვლო იყო და არანაირ ზღვარს არ სცდებოდა.

მოკლედ, ჩვენ ჯერ ისევ გვეძინა.

ლინდამ შეისვენა, მერე კი განაგრძო:

– კოლეჯის უკანასკნელ კურსზე რამდენიმე დღით ნიუ იორკში გავემგზავრე. იქ ჩემს ერთ დაქალთან ერთად ოტელ "ბომონდში" გამართულ მეჯლისზე წავედი, სადაც სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა. მოკლედ, წვეულებაზე ერთი ყმაწვილი გავიცანი, ასე, 30 წლის, რომელიც ისე ცეკვავდა, ყველას აღტაცებას იწვევდა. ჩვენ ერთად კარგა

ხანს ვიცეკვეთ, მერე კი მან ჩამჩურჩულა: "მოდი, აქედან წავიდეთ". ფრედი აღარც კი გამხსენებია, ისე შევეკითხე: "სად?" "სადაც თქვენ მოისურვებთ", – იყო პასუხი. იმ წუთას ჩემს თავს ვერ ვცნობდი, ისე ვიყავი ამ ყმაწვილით და მისი წინადადებით აღტაცებული. მე მართლა მსურდა, ყველაფერი ის მომხდარიყო, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე. ჩვენ გარეთ გამოვედით, ტაქსი დავიჭირეთ და მის სახლს მივაშურეთ. "რა მშვენიერი ხარ, რა ლამაზი", – მეუბნებოდა ის და თან პალტოს მხდიდა. ანაზადად, როგორც ჩანს, რაღაცას მიხვდა და შემეკითხა: "ეს თქვენთვის პირველადაა?" "ჰო, ჰო", – ვუპასუხე სწრაფად. ჩემდა გასაკვირად, მან ზურგი მაქცია და სასტუმრო ოთახში შევიდა. მე მაშინვე პალტო ჩავიცვი და დარცხვენილი ვიდექი, მან კი ვისკი დალია და თქვა: "მაპატიე, პატარავ, არ ვიცოდი". აღარც კი მახსოვს, ქუჩაში როგორ აღმოვჩნდი. მას მერე ის აღარასოდეს მინახავს.

– ზედმეტ დავიდარაბას მოერიდა, – შენიშნა პიტერმა, – ქალწულობის დაკარგვა საკმაო რისკთანაა დაკავშირებული.

– მან თითქოს გამთელა. მე ხომ საკუთარ პრინციპებს ასე იოლად გადავაბიჯე. – ამგვარი რამ ბევრს ემართება, – თქვა პიტერმა.

– და ყველა ჩემსავით იტანჯება? მე ხომ ღამეები არ მეძინა და მეჩვენებოდა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა, განსაკორებით კი ფრედმა. ახლა მისი ხელის შეხებასაც ვეღარ ვიტანდი, რადგან სირცხვილი მწვავდა.

– თქვენი ცოდვები სულ ეს არის? – დაინტერესდა პიტერი.

– იყო სხვა ცოდვებიც, სამაგიერო კი ფრედმა ზღო. კოლეჯის მერე ის არმიაში გაიწვიეს, ვიეტნამში. მალე შვებულებით დაბრუნდა და ცოლობაც მთხოვა, მაგრამ მე, არც კი ვიცი, რატომ, უარი ვუთხარი... მერე კი დაიღუპა... აი, ჩემი დანაშაული.

– ეს თქვენი ბრალი...

– ნუ მამშვიდებთ, – მოუჭრა ლინდამ, – ფრედის გამო მეც მომეზღო სამაგიერო.

– ჰო, მაგრამ არც ესაა თქვენი ბრალი. ჩვენ აქ ყველანი ერთ დღეში ვართ.

– პიტერ, მთავარი უკვე გითხარი. თუ ამ ჯოჯოხეთიდან გავაღწიეთ, შეიძლება კიდევ გელაპარაკოთ?

– ცხადია, შეიძლება, – ღიმილით მიუგო პიტერმა.

* * *

იტერს კორეის ჯუნგლებში მოსმენილი საუბრები გაახსენდა, რაც ჯარისკაცებს, დროებით მაინც, ომის საშინელებებს ავიწყებდა. იგივე ხდებოდა ამ სამზარეულოშიც. მხოლოდ ლაპარაკი აძლებინებდათ ემილის და ლინდას შემოწოლილი სასოწარკვეთისაგან, წყალი კი სამზარეულოში სულ წვეთავდა და წვეთავდა. მას შემდეგ, რაც ფეხი დაკარგა, მამა კი ცოცხლად დაეწვა, პიტერს შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ აუცილებლად ღირსეულად დაიღუპებოდა. მან ღრმად ამოიოხრა. კარგი ადამიანები ისევ ცუდების მსხვერპლნი ხდებოდნენ, ის კი მათ ვერაფრს შველოდა. ცნობა მათი დაღუპვის შესახებ გაზეთებში გაიელვებდა, მერე კი, როგორც თითქმის ყველაფერი, დავიწყებას მიეცემოდა.

ადამიანის მთავარ დანიშნულებად ცნობილი ჟურნალისტი მაინც შვილებს თვლიდა, თუმცა ავარიის შემდეგ ამაზე აღარ ფიქრობდა. საინტერესოა, ლინდასნაირი ქალი თუ შეძლებდა მის შეყვარებას? თუ მხოლოდ სიბრაღულით იმოქმედებდა? შემდგომი ფიქრებიდან პიტერი ხმამაღალი სტვენის ხმამ გამოიყვანა. ლინდა და ემილი ზეზე წამოიჭრნენ. შეტოკდა ტრუდიც.

სტვენა განმეორდა.

– ვიღაცა გარედან სიგნალს გვაძლევს! – შესძახა ჟღალთმიანმა.

სტვენა ისევ განმეორდა.

– ზედა სართულის სალაპარაკო მილია, – ყრც ხმით წარმოთქვა ჯერემიმ, რამაც ყველა გააკვირვა და მაშინვე მასთან გაჩნდნენ.

– ჯერემი, გტკივა? – შეეკითხა ემილი.

– ძალიან, მაგრამ მაინც უნდა წამოვდგე...

სტვენა გრძელდებოდა.

– მათ თქვენთან დალაპარაკება უნდათ... ალბათ რაღაც გარიგებაზე მოდიან...

– შეიძლება სამზარეულოში გაგვიტყუონ, მერე კი ტყვიებით ჩაგვცხრილონ, – შეეპასუხა ემილი ქმარს.

– არ გახვიდეთ, – ლინდამ პიტერს მხარზე დაადო ხელი.

– იქნებ მე შევძლო... – წამოიწია მოხუცი.

– არა! – გააპროტესტა ემილიმ.

– ჯერემი, – მიმართა პიტერმა, – სახლთან თქვენი მანქანა დგას. გასაღები გაქვთ?

– არა, – თავი გააქნია მოხუცმა, – კრამერთანაა.

– კი მაგრამ, როცა საუტვორტთან ერთად დაბრუნდით, კრამერი სად იყო?

– მას შემდეგ გამომართვა, როცა ერნის ჩრდილოეთისკენ მიმავალი ბილიკი ვუჩვენე.

– ის მაინც თუ იცით, გასაღების გარეშე ძრავა როგორ აამუშაოთ?

– ჰო, მაგრამ იქამდე როგორ მივალ?

– ამ ეტლით, დაღამების შემდეგ.

– შეიძლება ყველანი ამოგვხოცონ.

– თქვენ გარაჟიდან გახვალთ, – განაგრძო პიტერმა, – მე კი მანამდე მათ შეჩერებას შევეცდები.

– სტაილზ, – დაიწყო მოხუცმა, – მე მაინც ვკვდები, ამიტომ აქ დავრჩები, თქვენ კი გარაჟით გადით. – ჯერემი, მე რომ მანქანის ძრავის არაფერი გამეგება? ასე რომ, თქვენი წასვლა აჯობებს, მე კი აქედან დაგეხმარებით.

– საჭესთან ვინ დაჯდება? – იკითხა ჯერემიმ, – მე მანქანის ტარება არ შემიძლია, ემილიმ კი არ იცის.

– ლინდა, – თქვა პიტერმა.

– მე? მეც ხომ წამიყვანთ? – აკაკანდა ტრუდი.

ამ დროს სამზარეულოში წყლის შხუილის ხმა მოისმა – სავენტისილაციო მილიდან თქრიალით მოსჩქეფდა წყალი.

- როგორც ჩანს, ჩვენი დახრჩობა გადაწყვიტეს, - თქვა ლინდამ.
- ამას რამდენი დრო დასჭირდება? - იკითხა პიტერმა.
- წყალი უფრო სწრაფად შემოდის, ვიდრე გარაჟის კარიდან გადის, - განმარტა ჯერემიმ.
- კარი რომ გავაღოთ?
- შეიძლება, ოღონდ იქამდე მისვლა გაძნელებულია.
- წყალი სწრაფად ავსებდა სამზარეულოს, მაგრამ საშიშროების დონემდე მიღწევას 2-3 საათი მაინც დასჭირდებოდა.
- არჩევანი მაინც გვაქვს, - ნაღვლიანად გაიღიმა პიტერმა, - გარაჟის კარი გავაღოთ და ტყვიების ზუზუნში გავცვივდეთ, ან აქვე დავიხრჩოთ. ვინ რომელს ამჯობინებს?
- რომ შემემძლოს, მე ბრძოლას ვამჯობინებდი, - მიუგო მოხუცმა.
- დრო ცოტა გვაქვს, წყალი კი სულ მატულობს, - ჩაილაპარაკა ლინდამ.
- მაშასადამე, შევროლე გამორიცხულია, - თქვა პიტერმა, - იაგუარს ხომ წაიყვანთ?
- შევეცდები, - მიუგო მოხუცმა.
- სხვა გზა არ რჩება. გარაჟში უნდა გადავიყვანოთ.
- ბანდიტები რომ იქ იყვნენ? - იკითხა ემილიმ.
- გარედან ალბათ უთვალთვალევენ, მაგრამ არა მგონია, შიგ იყვნენ.
- პიტერ, ჯერემიმ რომ თქვენი მანქანა დაქოქოს, თუ კართან გამოვჩნდებით, შეიძლება ამოგვხოცონ, - განაგრძო ემილიმ.
- უნდა გავრისკოთ. თანაც სროლას მხოლოდ ერთ-ერთი ბანდიტი თუ აგვიტეხავს, - თქვა პიტერმა დაბეჯითებით.
- რატომ ერთ-ერთი? - იკითხა ემილიმ.
- მეორეს მე შევიყოლიებ და იმიტომ.
- ჩვენ გამო თავი მსხვერპლად უნდა გაიღოთ?
- შეიძლება გამიმართლოს, - მოკლედ მიუგო პიტერმა.
- თქვენ და ლინდას ცხოვრება წინ გაქვთ, ამიტომ აქედან უნდა წახვიდეთ, - განაცხადა ემილიმ.
- არა, - თავი გააქნია პიტერმა, - შეიძლება ყველანი წახვიდეთ, ოღონდ მე არა. მე აქ უნდა დავრჩე და თქვენს უსაფრთხო გამგზავრებაზე ვიზრუნო. ახლა კი დროა, საქმეს შევუდგეთ. ემილი, მომეხმარეთ, ჯერემი ეტლში გადავიყვანოთ.
- ყველა მოხუცთან მივიდა და რის ვაი-ვაგლახით ჯერემი ეტლში მოათავსეს, ეს უკანასკნელი კი ტკივილისაგან ხან ხმამაღლა შეჰყვირებდა, ხან კი კვნესოდა მხოლოდ.
- ემილი, ბრენდი მოუტანეთ, - თქვა პიტერმა, - ასეთ დროს, როგორც ვიცი, ტკივილებს აყურებს.
- ლინდამ ბრენდის ბოთლი აიღო და საცობმოხდილი ემილის გაუწოდა, რომელმაც ბოთლის თავი ჯერემის ტუჩებზე მიადო და დაღვევაში დაეხმარა.
- ახლა უკეთესად გახდები, ძვირფასო, - თქვა ქალმა და ბოთლი ლინდას დაუბრუნა.

– ჯერემი, აი, თქვენ თოფი ორი ტყვიით. თუ თავს დაგესხმებიან, შეგიძლიათ ესროლოთ. ისე, მანქანის ამუშავებას რა დრო დასჭირდება?

– თუ საქმე კარგად აეწყო, სულ ხუთი წუთი.

– კარგი. როცა ყველაფერი მზად იქნება, ლინდა სიგნალს მომცემს, – პიტერი ტრუდის მიუბრუნდა, – აი, აქ კი შენ უნდა დაგვეხმარო ანუ სალაპარაკო მილთან მიხვიდე და რომელიმე ბანდიტი გამოიძახო. მერე ამ ბანდიტს ლაპარაკი უნდა გაუბა და სთხოვო, მაღლა აგიშვას. რომ დაგიჯეროს, უთხარი, რომ ისევ მათ მხარეზე ხარ. მოკლედ, ბევრი უნდა ელაპარაკო, მე კი ამასობაში სამზარეულოს ლიფტით მეორე სართულზე ავალ. როგორც კი ლიფტი დაიძვრება, გარაჟში გაიქეცი და მანქანაში მოკალათდი, რომ წაგიყვანონ.

– ლიფტის ხმას გაიგონებენ, – ჩაურთო ემილიმ.

– ასეც რომ იყოს, ერთს მე მოვუვლი, იაგუარის მიმართულებით კი მხოლოდ მეორე დაიწყებს სროლას. ამით თქვენი შანსი ორჯერ გაიზრდება.

– თქვენ სიკვდილზე მიდიხართ, – ხმა აუთრთოლდა ლინდას.

– ამას ვერავინ ავცდებით. აბა, დროა, დავიწყოთ. პიტერმა სამზარეულოს კერამიკის იატაკს დახედა, უკვე წყალს რომ დაეფარა, მერე კი კარის ბოძს მიეყრდნო და თოფი მოიმარჯვა. ემილიმ ეტლი სამზარეულოში შეაგორა. ამ დროს პიტერმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო – ეს ლინდა იყო:

– პიტერ, თქვენთან დარჩენა მინდა...

– მერე მანქანას ვინ წაიყვანს?

– პიტერ, მე...

– ნუ ბავშვობთ, ლინდა! თქვენ იქ ხართ საჭირო და იქ უნდა იყოთ! ლინდამ ლოყაზე აკოცა პიტერს და სწრაფად გაეცალა. კიბის მხრიდან სამზარეულოში არავინ შემოჭრილა. გარაჟის კარი ლინდამ და ტრუდიმ გააღეს, ემილიმ კი შიგ ეტლი შეაგორა. პიტერი ლიფტში შეხტა და მაღლა წავიდა. სულ მალე გარაჟის მხრიდან ლინდას მომრგვალებული თითები გამოჩნდა, რაც ოკეის ნიშნავდა.

– მილთან მიდი! – უყვირა პიტერმა ტრუდის. ისიც მაშინვე დაემორჩილა და მილში ხმადაბალი საუბარი გააბა. მერე ადგილს მოსწყდა და კიბის კარს მივარდა, ბანდიტებს რომ შეერთებოდა.

– სულელლო! – უყვირა ისევ პიტერმა.

შუა გზაზე პიტერმა სროლის ხმა და ყვირილი გაიგონა – ტრუდის არჩევანი შეეშალა... თითქმის მაშინვე იაგუარის მოტორიც აგუგუნდა.

ლიფტი გაჩერდა. პიტერმა კარს ფეხი ჰკრა და გააღო.

იმავე წამს იქაურობა იაგუარის საყვირმა გააყრუა.

– ითესებიან! – იყვირა ტელიცკიმ.

პიტერი ლიფტიდან გამოვარდა და მის წინ სირბილით მიმავალ ტელიცკის ზურგში ესროლა. ტელიცკი ადგილზე შეტორტმანდა და ძირს დაეცა...

იაგუარის საყვირი უკვე შორიდან ისმოდა. "გადარჩენ", – გაიფიქრა პიტერმა და

ღრმად ამოისუნთქა.

რეალობაში კრამერის ცივმა ხმამ დააბრუნა:

– არ გაინძრე და იარაღი დააგდე, თორემ გაგათავე!

პიტერი თვალებს არ უჯერებდა: მის წინ თოფმომარჯვებული ბანდიტი იდგა და ცივად შესცქეროდა, ტუჩებშია კი, როგორც ყოველთვის, სიგარეტს ათამაშებდა. პიტერი ასკინკილით მივიდა კედელთან, შემოტრიალდა და თავის დაუძინებელ მტერს შეაშტერდა.

კრამერს თვალები უელავდა, თავის თოფს კი პიტერს შიგ გულში უმიზნებდა. – ჯეიკ!

– დაიძახა კრამერმა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

– როგორც ჩანს, კარგად ისვრი, – კრამერი დაიხარა და პიტერის თოფს დასწვდა, – აბა, მოხუცო. მგონი, ბოლო გაჩერებაა, არა?

– ასეა.

კრამერმა ნამწვი მოისროლა და ცივად გაიღიმა:

– ჯერემი როგორაა?

– ცუდად, მაგრამ ჩემი მანქანის დამკვრა მაინც მოახერხა.

– მოდი, ფანჯარასთან მივიდეთ. მინდა, ვიცოდე, შენი მაშველები როდის გამოჩნდებიან.

ასეც მოიქცნენ.

– ესეც მომკვდარა, – კრამერმა ტელიცკის გვამს დახედა, – მას ყოველთვის ზიზღი ამოდრავებდა და არა ლოგიკა. ისე, წყლის იდეა როგორ მოგეწონა?

– კარგი ჩანაფიქრია, თუმცა...

– ჯეიკმა ტრუდის უთხრა, ჩვენთან ამოდით, მერე კი მოკლა. და იცი, რატომ? ტრუდი ლინდას გვერდით იდგა, მაგრამ ხელი არ შეუშლია მისთვის, როცა ბენს ესროლა. მოკლედ, შური იძია, – კრამერმა ფანჯარას გახედა, – საინტერესოა, არმია როდის მოვა? აქ იმდენი გვამია, სატვირთო მანქანა დასჭირდებათ. პიტერს ოფლმა დაასხა. მისი სიკვდილ–სიცოცხლე ახლა კრამერის ხუშტურზე იყო დამოკიდებული.

– ვინც ეს სახლი ააშენა, ყველაფერი გაითვალისწინა, მათ შორის ინვალიდის ეტლიც, – განაგრძო კრამერმა, – ისე, მეც მეგონა, ვიღაცეებს ჩემს ჭკუაზე ვატარებდი, მაგრამ შევცდი. ახლა რაღა დამრჩენია? უნდა აქაურობას გავეცალო და მეტი არაფერი, რაც ორიგინალური სულაც არ არის. პიტერი მიხვდა, ერთადერთი ადამიანი რომ იყო, ვისთანაც ამ ბანდიტმა გულის გახსნა ისურვა.

– ვიცი, ახლა რაზეც ფიქრობ, – განაგრძო კრამერმა, – მარჩიელობ, გაქვს თუ არა გადარჩენის შანსი. აბა, გისმენ, შენს არგუმენტებს სიამოვნებით მოვისმენ.

– აბა, რა გითხრა? რამდენიმე წუთით მეტი რომ მაცოცხლო?

– სტაილზ, იცი, რაშია შენი პრობლემა?

– ვიკბინები.

– ბრძოლას არ წყვეტ. იწყებ და ბოლომდე აწვები. რეალობას არ ითვალისწინებ, ამიტომაც, ამდენი ხალხი რომ დაიხოცა და მალე ჩვენც იგივე ბედი გველის.

- ძალიან ართულებ. უბრალოდ, პასიურობას ვერ ვიტან. თუ სიკვდილი მიწერია, ბრძოლაში უნდა მოვკვდე.
- ანდა ამ ლიფტით რომ ამოხვედი. ეს ხომ უაზრო რისკი იყო? ხომ შეგვეძლო, ადგილზე მიგვეხვრიტე?
- მიყვარს ექსპერიმენტები. აკი გითხარი, პასიურობას ვერ ვიტან–მეთქი.
- ხომ შეგვეძლო, საერთოდ არ ამოსულიყავი? იმ მანქანაში შენთვისაც იპოვიდნენ ადგილს.
- რომ ყველა ამოგეხოცეთ, ხომ? არა. ჩემი გეგმა უფრო სწორი იყო. ყველა გადარჩა, ჩემ გარდა.
- გმირობა გიზიდავს? – კრამერის ხმაში დაცინვა გამოკრთა.
- საგმირო აქ არაფერი იყო. უბრალოდ, სხვების გადასარჩენად ერთს უნდა გაერისკა და ეს ერთი მე ვიყავი.
- ჯერემი რატომ არა? მან ხომ თავისი მოჭამა უკვე.
- არჩევანი არ ყოფილა. მას სიარული არ შეეძლო, მე კი ძრავის ამუშავება.
- შენს ადგილას, იცი, რას ვიზამდი? მოტორს ჯერემის ავამუშავებინებდი, თავად კი გავიქცეოდი.
- არა. მაშინ მანქანას ამიფეთქებდით. – სიკვდილის გეშინია?
- ისევე, როგორც ყველას.
- მე კი უფრო გულადი მეგონე. კარგი. აბა, ფანჯარაში გაიხედე. რამეს ხედავ? – ცუდად.
- ისინი შტურმისთვის ემზადებიან. შენ თუ ხარ მზად, მოკვდე?
- სიკვდილს რა მომზადება უნდა? – პიტერი კედელს აეკრა.
- შენი გამძლეობა ნამდვილი სიურპრიზია ჩემთვის. არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, მაგრამ შენით მოხიბლული ვარ, – ამ სიტყვებით კრამერმა პიტერის თოფი კედელს მიაყუდა, თავისი კი მხარზე გაიღო და გასასვლელისკენ გაემართა.

* * *

ულ მალე თოფების კაკანი ატყდნა. პიტერმა დაინახა, როგორ აისროლა ტყვიების ჯერმა კრამერი ჰაერში, მერე კი ძირს დასცა გულგანგმირული.

პიტერმა ფანჯარა გამოაღო და გადაიხედა:

– ლინდა! ლინდა! აქ ვარ!

პიტერი შემოტრიალდა და ღონემიხდილი იატაკზე ჩაჯდა. ცოტა ხანში ლინდა შემოვარდა მასთან და ლოყა ლოყაზე მიაღო:

– როგორ ხარ, პიტერ? ხომ არ დაგჭრეს?

– არა, ლინდა, ყველაფერი კარგადაა, – გაუღიმა ქალიშვილს ჟურნალისტმა.

დასასრული.

www.ChiaturaINFO.GE

